ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 9 ნოემბერი 2004 №261 (2282) ფასი 50 თეთრი


# OH, MY GOAL

## ალან შირერი: მე ვთამაშობ, მე ვიბრძვი!

ნიუკასლის შესასვლელთან, ბორცვზე, დაახლოებით 50 მეტრი სიმაღლის მონუმენტია. ერთი შეხედვით, დიდი არაფერი, მარტივი კონსტრუქციაა, რომელსაც ფერიც ჟანგისა დაჰკრავს. კარგად უნდა დააკვირდე, რომ დარწმუნდე... ეს ქრისტეს მონუმენტია. რამდენიმე წლის წინ კი იმ ადგილას ასეთი რამ მოხდა: „ნიუკასლის“ ფანებმა კლუბის 50-მეტრიანი შავ-თეთრი მაისურა შეკერეს, უკანა მხარეს ციფრი „9“ და „GOD“ მიაწერეს. განმარტება საჭირო აღარაა, ალბათ კარგად იცით, „ნიუკასლის“ ცხრანომრიანი მაისურა ვის ეკუთვნის.

ნიუკასლელ ფანთა ამ მკრეხელობას დიდი ამბავი მოჰყვა. ქალაქის პოლიცია ფეხზე დადგა და დამნაშავეთა ძებნა დაიწყო. მონუმენტზე ღამით გადაფარებული შავ-თეთრი ნაჭერი კი დილით გააქრეს. ამ საქმეს პოლიცია დღემდე იძიებს, თუმც, ეტყობა, კარგად არ ინდომებს.

ისეთივე შავ-თეთრი, ოღონდ ადამიანური ზომის ცხრანომრიანი მაისურა, ისეთივე წარწერით მორგებული აქვს ყოველ მეორე ნიუკასლელს. ნიუკასლი კი დაახლოებით მილიონიანი ქალაქია...

და მოდით, მეტს ნულარაფერს ვიტყვით, აგერ დღევანდელი „სარბიელი“, აგერ თქვენ და აგერ... „GOD“, იგივე ალან შირერი.







# ერთ ბურთს 50 კაცი დასდევს. ის ბურთი ოქროსია!

სულ ორმოცდაათია, ყველაზე ბევრი — შვიდი — ბრაზილიელი. ერთით ნაკლებნი ფრანგები და ევროჩემპიონი ბერძნები. იტალიელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, პორტუგალიელები...

„ოქროს ბურთი“ კი ჯერაც ჩეხი პაველ ნედვედისაა. რონალდინიო, შევჩენკო, დეკო, მალდინი, რუნი... ნედვედს ევროპის 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის შენარჩუნება აშკარად გაუჭირდება. ყველაფერი დეკემბერში გაირკვევა, მაშინ, როცა „ფრანს ფუტბოლი“ 52 ევროპული ქვეყნის სპორტული გაზეთების გამოკითხვის შედეგებს დაითვლის. ამ 52 გამოცემას შორის, რახანია, „სარბიელიცაა“.

გუშინ „ფრანს ფუტბოლმა“ „ოქროს ბურთის“ 50 კანდიდატი დაასახელა.



# ალან შირერი: მე ვთამაშობ, მე ვიბრძვი!

„ნიუკასლ“ — „დინამოს“ მატჩი ახალდამთავრებული იყო, როცა საპრესკონფერენციო დარბაზიდან „სენტ ჯეიმს პარკის“ შერეული ზონისკენ „გავუხვიე“ და ბარიერს მიღმა, ტელეკამერების წინ მოლაპარაკე ალან შირერი შევნიშნე და... ზედმეტი სითამამისთვის ინგლისელ ჟურნალისტებს მაშინაც და ახლაც ვუბოდიშებ, ერთ-ორს მხარი რომ გავკარი, მაგრამ სხვა გზა აღარ მქონდა, შირერი ლაპარაკს ამთავრებდა და გასახდელში ბრუნდებოდა...

— ერთი წუთით...

— დიახ, გისმენთ.

— ქართველი ჟურნალისტი ვარ, შეიძლება მცირე ინტერვიუ სულ სამი-ოთხი წუთი.

— სასიამოვნოა, გისმენთ, რა გაინტერესებთ?

ალან შირერი მომესალმა, ბარიერს დაეყრდნო და „სარბიელის“ მკითხველებისთვის ეს თქვა...



**ალან შირერი**

დაიბადა 1970 წლის 13 აგვისტოს ნიუკასლში

სიმაღლე: 183 სმ; წონა: 78 კგ

ინგლისის ჩემპიონი (1): 1995

**კლუბები**

საუთჰემპტონი (1988–1992)

158 მატჩი, 43 გოლი

ბლექბერნი (1992–1996)

171 მატჩი, 130 გოლი

ნიუკასლი (1996 წლის აგვისტოდან)

335 მატჩი, 181 გოლი

**ნაკრები**

63 მატჩი, 37 გოლი

**— პირადად თქვენთვის დღეს „დინამოსთან“ თამაში ალბათ ვარჯიშის ტოლფასი იყო.**

— არა, ასე რატომ ფიქრობთ? უეფას თასზე გუნდი შემთხვევით ვერ ითამაშებს. მართალია, „დინამო“ ახალგაზრდული გუნდია, ეტყობა გამოუცდელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ძალები დავზოგოს. აგერ, ხომ მიყურებთ, ძალიან დაღლილი ვარ. სუსტ მეტოქესთან კი მთელ ენერგიას არ დავხარჯავდი.

**— ესე იგი, „დინამო“ თქვენთვის ღირსეული მეტოქე იყო?**

— დიახ, თუმც ჩვენ ვაჯობეთ და კმაყოფილი ვარ.

**— თქვენზე ამბობენ, ფეხბურთელის კარიერის შემდეგ სამწვრთნელო საქმეს დაიწყებსო. ასეა?**

— დიახ, ასეა, მწვრთნელობაზე სერიოზულად ვფიქრობ.

**— და როდის დაიწყებთ ამ საქმეს?**

— ჯერ ვერ გეტყვით, თუმც ახლაც ბევრს ვსწავლობ. მაგალითად, კვირაში ორჯერ უეფას მწვრთნელთა სემინარებს ვესწრები, მწვრთნელისთვის აუცილებელ ცოდნას ვიძენ.

**— უეფას შტაბ-ბინა შვეიცარიაშია. კვირაში ორჯერ იქ დადიხართ და მერე უკან ბრუნდებით? ამდენი მგზავრობა მომზადებაში ხელს არ გიშლით?**

— არა, ორშაბათობით ძირითადად ვისვენებთ და თავისუფალი ვარ, ხუთშაბათობით კი დილის ვარჯიშის შემდეგ მივფრინავ შვეიცარიაში. თუმც ისეც ხდება, რომ უდროობის გამო სემინარებზე დასწრებას ვერ ვახერხებ.

**— ფეხბურთელის კარიერას როდის დაასრულებთ?**

— ალბათ ერთ სეზონსაც ვითამაშებ.

**— მერე „ნიუკასლს“ ჩაიბარებთ თუ პირდაპირ ინგლისის ნაკრებისკენ მიგიწევთ გული?**

— ეს ჩემზე არაა დამოკიდებული. ისე კი, ძალიან მსურს, რომ ნიუკასლში დავრჩე და აქ ვიმუშავო.

**— იქ, სადაც გალმერთებენ?**

— გმადლობთ.

**— ნიუკასლში უზომოდ პოპულარული ხართ. არ გიჭირთ? აქ ხომ თქვენი პატივისცემით ყველა შირერია. ალბათ ქუჩაში თავისუფლად ვერც დადიხართ.**

— ნიუკასლში არ ვცხოვრობ, თუმც ჩემი მშობლიური ქალაქია. აქვე, 50 კილომეტრში მაქვს სახლი და თავისუფალ დროს სულ იქ ვარ. პატივისცემისთვის ქომაგების მადლობელი ვარ. „ნიუკასლს“ მთელ ინგლისში ყველასგან გამორჩეული ფანები ჰყავს.

**— 34 წლის ხართ. თითქმის 15 წელია, უმაღლეს დონეზე თამაშობთ. ფეხბურთელ შირერისთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება რა იყო?**

*შირერი დაფიქრდა, საჩვენებელი თითი წარბზე გადაისვა და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი გაიხსენა.*

— გახსოვთ ინგლის-არგენტინის მატჩი ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე?

**— სკანდალური მატჩი, ბექჰემი რომ გააძევეს?**

— დიახ. აი, იმ თამაშისას იყო ეპიზოდი, რომელიც გოლით უნდა დამესრულებინა. სწორედ ბექჰემმა ჩააწოდა საჯარიმოში, ავხტი და თავით დასარტყმელად მოვემზადე. დარწმუნებული ვიყავი, გოლი გამქონდა, ბურთი კარში მქონდა წარმოდგენილი, როცა მცველმა ხელით ითამაშა, ბურთი თავიდან ამაცალა, მსაჯმა კი თამაში გააგრძელა. მსაჯი რომ ვყოფილიყავი, იმ მცველს ულაპარაკოდ გავაძევებდი. მოგვიანებით ამ მსაჯმა კემპბელის ნაღდი გოლიც გააუქმა. საბოლოოდ, ის თამაში პენალტებით წავაგეთ, მე კი ერთი კვირა შოკში ვიყავი.

**— ყველაზე მეტად რამ გაგახარათ?**

— სამი შვილი მყავს და მათზე ჭკუას ვკარგავ.

**— როგორც ფეხბურთელი?**

*შირერი ისევ დაფიქრდა, მარჯვენა ხელი მარცხენა მკლავთან მიიტანა...*

— ინგლისის ნაკრების კაპიტნად რომ დამნიშნეს, მეტი ბედნიერება ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. და კიდევ, ბედნიერი ვიყავი მაშინაც, როცა „ბლექბერნთან“ ერთად 1995 წელს პრემიერლიგა მოვიგე.

**— ეგებ ცოტა უხერხული კითხვაა, მაგრამ მაინც– დღეს „დინამოს“ მეკარე მამალაძეს იდაყვი ჩაარტყით, ეს კი თქვენთვის არც პირველი იყო და ალბათ არც ბოლოა. არ ფიქრობთ, რომ მეტოქის საჯარიმოში უხეშობთ ხოლმე?**

— მე ვუხეშობ? ვერ დაგეთანხმებით, მე ფეხბურთს ვთამაშობ და შესაძლოა, ხანდახან მეტოქეს ხან ხელი მივარტყა, ხან ფეხი. არ ვუხეშობ, ვთამაშობ! „დინამოს“ მეკარეს კი ბოდიშის ვუხდი, შევატყვე მკერდი ეტკინა, მაგრამ დამნაშავე არ ვარ, ბურთისთვის ვიბრძოდი.

**— ერთ გახმაურებულ ამბავს გაგახსენებთ. ამ ორი წლის წინ როი კინს წაეჩხუბეთ. ახლა მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. ის „მანჩესტერში“ თამაშობს, მე — „ნიუკასლში“.

**— ყველაზე მეტად რომელ მცველთან გიჭირთ თამაში?**

— ასეთი არ არსებობს. ჩემთვის ყველა მცველი ერთია.

**— უხერხული მეტოქე არ გყავთ?**

— რიო ფერდინანდის წინააღმდეგ არ მიყვარს თამაში. მგონია, არასწორად თამაშობს და ამ დროს ბევრი გამოსდის.

**— თქვენი საყვარელი მწვრთნელი ვინ არის?**

— კევინ კიგანი და რონ ატკინსონი.

**— გოლის გატანის შემდეგ თქვენ ყველასგან განსხვავებული რიტუალი გაქვთ — ხელი ზემოთ და გაშლილი მტევანი. ამით რას გამოხატავთ?**

— ჩემს პატივისმცემელ ქომაგებს ვესალმები და მხარდაჭერისთვის მადლობას ვეუბნები... გმადლობთ.

*ალან შირერი დამემშვიდობა და გასახდელს მიაშურა. რამდენიმე წუთში კი მისი შავი ჯიპი „სენტ ჯეიმს პარკიდან“ აღმოსავლეთისკენ გაქანდა...*

**კობა ინასარიძე**










საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი მეორე წრე 14 ტური



ზესტაფონი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 1 500 (ტევადობა 8 000)

## ზესტაფონი 0:2 დინამო

0:1, 0:2 დვალი (39, 64)

ზესტაფონი: მერკვილიშვილი, ძამსაშვილი, რაქვიაშვილი, შავგულიძე, სულაკაძე, ბესარაშვილი, ნუდნი, თურმანიძე (მელიქია 80), კვერნაძე, ბ. ნოზაძე (პარამონოვი 46), ზირაქიშვილი (ჯანაშია 46)
*სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; გვარუციძე, შუკაკიძე, ქურციკიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

დინამო: ზოიძე, სილაგაძე, შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, დვალი, გონჩაროვი (კაკალაძე 70), ალადაშვილი, ნემსაძე (კ. მახარაძე 88), კვირკველია, ხმალაძე (კანდელაკი 65), კანკავა
*სათადარიგონი:* მამალაძე; სალუქვაძე, მელქაძე
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ნემსაძე (55)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

# ოთხი სერიის ჰეფი ენდი
# დინამომ მოიგო

**დავით თავართქილაძე**
ზესტაფონიდან

„დინამო" ზესტაფონში ჩავიდა და არაუქმე დღეს სტადიონზე ათასხუთასამდე კაცი მოგროვდა. მატჩს საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესიც დაესწრო, მისი ვიზიტის შესახებ რეპროდუქტორითაც გამოაცხადეს და პუბლიკამაც ტაში დასცხო.

ფეხბურთი კი მაინცდამაინც კარგი არ გამოვიდა. ზესტაფონში მინდორი ისეთია, ბურთს ზიდანი და რონალდინიოც ვერ გააგორებენ. იქნებ ასეთი მოედანი „ზესტაფონს" ხელს აძლევდა კიდეც მასზე მაღალი კლასის მეტოქესთან საპაექროდ, თუმც ვინ იცის...

„დინამოს" გუშინდლამდე წაგებათა ოთხმატჩიანი სერია ჰქონდა, მისთვის ეს მატჩი ალბათ უფრო ფასეული იყო, ვიდრე მოწინააღმდეგისთვის — „დინამოსთან" თამაში ყველასთვის ჟინის მომმატებელია და შეუპოვრობა არც „ზესტაფონს" დაეწუნებოდა.

გია გეგუჩაძემ „ნიუკასლთან" მოთამაშე სასტარტო შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი სათადარიგოებში გადასვა და ძალთა ასეთი გადანაწილებით გაიყვანა გუნდი „ზესტაფონთან". დინამოელებს ორი ტრავმირებული აკლდათ — ლადო ახალაია და შოთა კაშია.

თემურ მახარაძემ კი 3-6-1 ირჩია, შუა მოედანს მოახმარა ფეხბურთელები, მაგრამ ფლანგებიდან „ზესტაფონის" თამაში ჩირადაც არ ღირდა. რა თქმა უნდა, „დინამოს" „ზესტაფონზე" უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს, რისი გამბათილებელი გუშინ „ზესტაფონის" ტაქტიკა ნამდვილად არ იყო — კლასში სხვაობას ხშირად ვერანაირი ტვინის ჭყლეტა ვერ ერევა.

„დინამო" თავიდანვე აგრესიულად ათამაშდა, სამ-ოთხი წუთი „ზესტაფონი" მეტოქის ნახევარზე ვერ გადადიოდა. სანამ მიხეილ ბესარაშვილმა ირაკლი ზოიძეს შორიდან არ დაურტყა, „ზესტაფონი" ძალიან ფრთხილობდა და თითქმის სულ თავდაცვით იყო დაკავებული. ამის შემდეგ „ზესტაფონმა" კიდევ გამოიდო თავი — ზაზა ზირაქიშვილის დარტყმულს ღონე აკლდა, ხოლო რევაზ კვერნაძის გასროლილი ირაკლი ზოიძემ გააქავა ხელებში.

„დინამო" კი კვლავ იწევდა მეტოქეზე. ბურთის გორება არ გამოსდიოდა, მაგრამ ბრძოლა, გამოცდილება და ოსტატობა მაინც თავისას შერებოდა — „ზესტაფონმაც" ყველაფერ ამას ვერ გაუძლო და მოედნის ცენტრში დაშვებული ერთი შეცდომა გაშვებულ გოლად დაუჯდა — ჯაბა კანკავამ 16–17 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, რაჟდენ მერკვილიშვილმა ბურთი კი მოიგერია, მაგრამ დასწრებაზე ყველას ჯაბა დვალმა აჯობა და 0:1.

მეორე ტაიმისთვის თემურ მახარაძემ ზირაქიშვილის ნაცვლად დავით ჯანაშია შეუშვა, ხოლო დაცვა ტანმაღალი დიმიტრი პარამონოვით გაამაგრა, რადგან პირველ ტაიმში „დინამოს" რამდენჯერმე შეეძლო თავურით დაელაშქრა მასპინძელთა კარი. მაგრამ შეცვლებმა ფაქტობრივად ვერანაირი ეფექტი ვერ მოუტანეს „ზესტაფონს".

ზესტაფონელებმა ანგარიშის გასათანაბრებლად თითქოს ბოლო ძალები მოიკრიბეს და მეორე ტაიმი აქტიურად დაიწყეს, თუმც „დინამო" დაცვაშიც მაგრად იდგა და მასპინძელთა ნაპერწკლებიც ალად ვერ გადაიქცა.

„დინამოს" ანგარიშის გაზრდის კარგი შანსი ჯერ მაშინ ჰქონდა, როცა ფლანგურ ჯარიმას დავით ჭიჭვეიშვილმა დაჰკრა ლონიერი თავური და ბურთი ოდნავ აცილა „ზესტაფონის" კარს. მეორე გოლი კი ასე გავიდა — კვლავ ზესტაფონელთა შეცდომა მოედნის ცენტრში, დვალმა ბურთი უპრობლემოდ მიიღო, მეტოქე მცველი საპირისპირო სვლაზე გამოიჭირა და ცაციათი მაღალ კუთხეში მიუჩინა ბურთს ადგილი.

ვერ ვიტყვით, „ზესტაფონი" ამის შემდეგ გატყდაო, მაგრამ თამაშის შემომტრიალებელი რომ არ იყო, ეს ალბათ თავადაც სჯეროდა. „დინამომ" კი ლიდერობა დაიბრუნა.

*გია გეგუჩაძე:* დაძაბული მატჩი გამოდგა. ეს სამი ქულა კი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სასიამოვნოა, რომ „ზესტაფონში" სასიკეთო ძვრებია. იმედია, მოედნის საფარიც გამოსწორდება.

*თემურ მახარაძე:* კახა სიდამონიძე დისკვალიფიცირებული იყო, ზირაქიშვილმა კი პირველი ტაიმი გამაყუჩებელი ნემსით ითამაშა, მაგრამ გუნდებს შორის კლასში სხვაობა თვალშისაცემი იყო და რაც ჩვენ გავაკეთეთ, ეს მაქსიმუმი გახლდათ. თუმც მეორე ეტაპისთვის გავძლიერდებით და სულ სხვა „ზესტაფონს" იხილავთ. ჩემს ფეხბურთელებს თავდადებას არ ვუკარგავ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. შეიძლება ისიც ითქვას, რომ „დინამომ" არაფრისგან მოგვიგო, მაგრამ გამოცდილების ხარჯზე მაინც გვაჯობა.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 30:16 | 29 |
| ტორპედო | 14 | 8 | 5 | 1 | 21:8 | 29 |
| თბილისი | 14 | 8 | 3 | 3 | 31:17 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 3 | 4 | 26:19 | 24 |
| ლოკომოტივი | 14 | 6 | 6 | 2 | 19:7 | 24 |
| ბათუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:12 | 22 |
| კოლხეთი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:23 | 11 |
| სიონი | 14 | 3 | 2 | 9 | 13:31 | 11 |
| ზესტაფონი | 14 | 3 | 1 | 10 | 9:32 | 10 |
| დილა | 14 | 2 | 2 | 10 | 11:26 | 8 |

ჯაბა დვალის (№11) გოლებმა „დინამო" ცხრილში აპირველა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

საქართველო – დანია –

17 ნოემბერი –

### სათბილისო დანია

| | | |
|---|---|---|
| **მეკარეები** | | |
| თომას სორენსენი | ასტონ ვილა, ინგლისი | 12.06.76 |
| პეტერ სკოვ-იენსენი | მიდტიულანდი | 09.06.71 |
| **მცველები** | | |
| ლეონ ანდრეასენი | ორჰუსი | 23.04.83 |
| სორენ კოლდინგი | ბოხუმი, გერმანია | 02.09.72 |
| ნიკლას იენსენი | დორტმუნდი, გერმანია | 17.08.74 |
| პერ კროლდრუპი | უდინეზე, იტალია | 31.07.79 |
| სტევენ ლუსტუ | ლიინი, ნორვეგია | 13.04.71 |
| ბრაიან პრისკე | გენკი, ბელგია | 14.05.77 |
| ესბიორნ სენელსი | ბრონდბიუ | 17.01.79 |
| **ნახევარმცველები** | | |
| თომას გრავესენი | ევერტონი, ინგლისი | 11.03.76 |
| დანიელ იენსენი | ვერდერი, გერმანია | 25.06.79 |
| კრისტიან პოულსენი | შალკე, გერმანია | 28.02.80 |
| მარტინ რეტოვი | ბრონდბიუ | 05.05.80 |
| მარტინ იორგენსენი | ფიორენტინა, იტალია | 06.10.75 |
| დენის რომედალი | ჩარლტონი, ინგლისი | 22.07.78 |
| **თავდამსხმელები** | | |
| იონ დალ ტომასონი | მილანი, იტალია | 29.08.76 |
| პეტერ მადსენი | ბოხუმი, გერმანია | 26.04.78 |
| კენეტ პერესი | ალკმაარი, ჰოლანდია | 29.08.74 |
| პეტერ ლოვენკრანდსი | რეინჯერსი, შოტლანდია | 29.01.80 |
| მორტენ სკოუბო | ბრონდბიუ | 30.06.80 |

*მწვრთნელი: მორტენ ოლსენი*



იონ დალ ტომასონს თბილისური ინტერვიუებიც ელის

### 17 ნოემბერი

## თურქეთი – უკრაინა

### თურქეთი

**მეკარეები:** რუშთუ რეჩბერი (ფენერბაჰჩე), ომერ ჩატკიჩი (გენჩლერი), ვოლქან დემირელი (ფენერბაჰჩე);
**მცველები:** უმით ოზატი (ფენერბაჰჩე), ბიულენთ ქორქმაზი (გალათასარაი), სერვეთ ჩეთინი (ფენერბაჰჩე), დენიზ ბარისი (ფენერბაჰჩე), იბრაჰიმ უზულმეზი (ბეშიქთაში), თოლგა შეიჰანი (ტრაბზონი), ქურსათ დიუმუსი (რიზე);
**ნახევარმცველები:** გიოქდენიზ კარადენიზი (ტრაბზონი), იბრაჰიმ ტორამანი (ბეშიქთაში), ჰასან შაში (გალათასარაი), ჯიჰან ჰასპოლათლი (გალათასარაი), ოკან ბურუქი (ბეშიქთაში), ილდირაი ბაშთურქი (ჰერტა, გერმანია), ემრე ბელოზოღლუ (ინტერი, იტალია), ჰუსეინ ჩიმშირი (ტრაბზონი), ჰამიტ ალტინტოპი (შალკე, გერმანია);
**თავდამსხმელები:** ნიჰათ კაჰვეჩი (სოსიედადი, ესპანეთი), თუნჯაი სანლი (ფენერბაჰჩე), ფათიჰ ტეკე (ტრაბზონი), ნეჩატი ატეში (გალათასარაი), ჰალილ ალტინტოპი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)

### უკრაინა

**მეკარეები:** ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ვიტალი რევა (დინამო);
**მცველები:** ანდრეი ნესმაჩნი (დინამო), იური დმიტრულინი (დინამო), სერგეი ფიოდოროვი (დინამო), ალექსანდრ რადჩენკო (დნიპრო), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), სერგეი მატიუხინი (დნიპრო), ვლადიმირ იეზერსკი (დნიპრო), ვიაჩესლავ ჩეჩერი (მეტალურგი, დონეცკი), მიხაილ სტაროსტიაკი (შინიკი, რუსეთი);
**ნახევარმცველები:** ოლეგ გუსევი (დინამო), ანდრეი გუსინი (დინამო), რუსლან ბიდნენკო (დინამო), რუსლან როტანი (დნიპრო), ოლეგ შელაევი (დნიპრო), სერგეი ნაზარენკო (დნიპრო), სერგეი ზაკარლიუკა (ილიჩევეცი);
**თავდამსხმელები:** ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ალექსეი ბელიკი (შახტარი), ოლეგ ვენგლინსკი (დნიპრო)

საქართველოს პირველი ლიგა — საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს პირველი 16 ჩემპიონატი ლიგა 12 ტური — პირველი წრე

# ამერია სათვალავი უცებ დაააცხრა, უცებ დააცხრა





ამერელებმა იოსებ ჭრიკიშვილს 5 გოლი კი გაუტანეს, მაგრამ დარდიც გაჰყვათ, დავით მჭედლიშვილმა (№6) ლავიწი მოიტეხა და პირველი წრე დაასრულა

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი ფკ ამერის სკოლა. 300 მაყურებელი

## ამერი 5:0 რუსთავი

1:0 დეკანოსიძე (21პ), 2:0 დავითაშვილი (68პ), 3:0 წინამძღვრიშვილი (73), 4:0 დეკანოსიძე (74), 5:0 წინამძღვრიშვილი (77)

ამერი: ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, მჭედლიშვილი (სამსიანი 75), ბერიანიძე, კაიდარაშვილი, დეკანოსიძე, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 69), სევასტოპულო, ხვადაგიანი, (გვაძაბია 78) სილაგავა
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

რუსთავი: ჭრიკიშვილი, შუბითიძე, სილაგაძე, ნეფარიძე, აბდალაძე (პაპაშვილი 53), ზურაბ მეტრეველი, მიქაძე, დემეტრაძე (კვიციანი 66), ლაბაძე, კაპანაძე (გაბრიჭიძე 74), რეხვიაშვილი
მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

გაფრთხილება: ნეფარიძე (20), მჭედლიშვილი (55)

მსაჯები: ი. კახიანი; გ. ჩიგოგიძე, ე. ნარმანია; გ. ვადაჭკორია

**ირაკლი ნინიძე**

წინა სეზონი „ამერმა“ 34 გოლით დაასრულა, ახლა კი, ჯერ პირველი წრე არ დასრულებულა და გუნდს 36 გოლი აქვს მარაგში. ამათგან ხუთი ამერელებმა გუშინ გლდანში, საკუთარი სკოლის სტადიონზე „რუსთავს“ გაუტანეს.

გოლები გოლებად და, გუშინდელი მატჩი თვალსაჩინო მაგალითადაც გამოდგებოდა საიმისოდ, თუ რა არის კარგი თამაში და რა — ცუდი.

პირველ ტაიმში გულშემატკივარმა ცუდი თამაში ნახა, ჯაჯგურის მეტი, ფაქტობრივად, არც არაფერი ყოფილა. შესვენების მერე კი პირიქით, თამაში კარგი საყურებელი იყო და გოლებიც ბევრი გავიდა.

პირველი ტაიმი კი დავიწუნეთ, მაგრამ თამაში იმგვარად დაიწყო, ძნელად წარმოიდგენდით, რომ არ ივარგებდა. ამერელთა პირველივე იერიშისას სულიკო დავითაშვილი ფლანგზე გაიჭრა, კუთხურის ხაზიდან კარის გასწვრივ ჩააწოდა და გიორგი დეკანოსიძემ გაიტანა. „ამერმაც“ გაიხარა და მისმა გულშემატკივარმაც, თუმცა საგოლე პასამდე დავითაშვილს ბურთი მოედნის გარეთ გაექცა და გოლიც გაუქმდა.

ეს ერთი ეპიზოდი იყო და მერე კარგა ხანს, მე-20 წუთამდე არაფერი მომხდარა. მეოცეზე კი კარისკენ დაძრული დავით მჭედლიშვილი საჯარიმოში წააქციეს და გიორგი დეკანოსიძემ პენალტით ანგარიში გახსნა.

შესვენებამდე კიდევ ორი გამოსარჩევი მომენტი იყო: რუსთაველი ლევან კაპანაძე კარის წინ აღმოჩნდა, მაგრამ დარტყმა დაახანა და ჯაბა ბერიანიძემ ბურთი აართვა. მერე კი დავითაშვილის ორიოდ მეტრიდან დარტყმულს იოსებ ჭრიკიშვილი გადაეფარა.

მეორე ტაიმი, როგორც თავში მოგახსენეთ, ბევრად საინტერესო გამოდგა. სხვა რომ არაფერი, 9-წუთიან მონაკვეთში ოთხი გოლი გავიდა.

„ამერის“ ცენტრალური მცველი, კაპიტანი გიორგი დავითნიძე ერთ ეპიზოდში თავად ჩაერთო შეტევაში, თავისი ნახევრიდან დაიწყო და იქამდე არ გაჩერებულა, სანამ მეტოქის საჯარიმოში არ წააქციეს. პენალტი ამჯერად დავითაშვილმა დაარტყა, გაიტანა და მაშინვე რატი წინამძღვრიშვილით შეცვალეს — ეს შეცვლა პენალტამდე მზადდებოდა და ისე გამოვიდა, რომ დავითაშვილმა მოედნის უგოლოდ დატოვება არ ინება.

წინამძღვრიშვილის შეყვანით კი გიორგი ჩიხრაძემ, როგორც იტყვიან, გამოიცნო — წინამძღვრიშვილის ბურთთან პირველივე შეხება „რუსთავის“ კარის მესამედ აღებით დასრულდა. გიორგი სილაგავას ფლანგურ პასს რატიმ ჰაერშივე შეაგება ფეხი და ულამაზესი გოლიც გამოუვიდა. ხუთ წუთში „ამერის“ 16 წლის ფორვარდმა ამ მატჩში თავისი მეორე, სეზონში კი მეხუთე გოლიც გაიტანა, ოღონდ კარში მიმავალ ბურთს გზად რუსთაველმა დავით პაპაშვილმა თავი წაჰკრა და ისე გავიდა.

წინამძღვრიშვილის გოლებს შორის კი დეკანოსიძემ გაიტანა თავისი მეორე გოლი — ესეც ძალიან ეფექტური, მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ რამდენიც გაიტანეს, ამერელებს ერთი იმდენი ნაღდი მომენტიც გაუცუდდათ.

**კახეთი 1:3 ბორჯომი**

**ოლიმპი 0:1 გურია**

**ცხინვალი 1:0 მერანი**

**ლოკომოტივი 2 0:1 ვიტ ჯორჯია**

**სპარტაკი 6:3 მაღაროელი**

**დინამო 2 4:0 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 12 | 10 | 1 | 1 | 34:13 | 31 |
| სპარტაკი | 12 | 8 | 4 | 0 | 24:11 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 2 | 2 | 21:6 | 26 |
| ამერი | 12 | 8 | 1 | 3 | 36:7 | 25 |
| კახეთი | 12 | 7 | 1 | 4 | 23:20 | 22 |
| დინამო 2 | 12 | 6 | 1 | 5 | 25:20 | 19 |
| ცხინვალი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:15 | 18 |
| გურია | 11 | 4 | 2 | 5 | 10:15 | 14 |
| ჩიხურა | 12 | 4 | 2 | 6 | 9:16 | 14 |
| ივერია | 11 | 3 | 5 | 3 | 10:12 | 14 |
| მერანი | 10 | 4 | 1 | 5 | 15:18 | 13 |
| ლოკომოტივი 2 | 12 | 3 | 3 | 6 | 13:19 | 12 |
| რუსთავი | 12 | 3 | 1 | 8 | 15:25 | 10 |
| ოლიმპი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:18 | 9 |
| საგარეჯო | 12 | 1 | 3 | 8 | 9:30 | 6 |
| მაღაროელი | 12 | 0 | 3 | 9 | 6:33 | 3 |




# ჩვენი ფეხბურთის ჩემი ფეხბურთი

## FANTASY FOOTBALL საქართველოს ჩემპიონატში

აზარტულ ქართველ გულშემატკივრებს დღეიდან მხოლოდ „რეალის“, „ბარსელონასა“ და სხვათა სხვა კლუბების მოგება-არმოგება არ ექნებათ საფიქრალი. ტოტალიზატორებს არ ვგულისხმობ, თუმც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ რაღაც მსგავსი პროექტი შეიმუშავა ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის: კერძოდ, პროფლიგამ „კოკა-კოლასთან“ ერთად დანერგა ინტერნეტ-თამაში „ჩემი ფეხბურთი“, რომელიც თავად პროფლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (WWW.PFL.GE) იქნება წარმოდგენილი

ამ იდეის შესახებ ადრეც გაცნობეთ, გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციაში „ჩემი ფეხბურთის“ პრეზენტაცია შედგა. პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა და გენმდივანმა რევაზ ლორთქიფანიძემ თამაშის პრინციპი გაგვაცნეს: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თითოეული ტურისთვის ნებისმიერი მსურველი ადგენს 11-კაციან შემადგენლობას (მისეულ სიმბოლურ ნაკრებს) და მატჩების მიხედვით იღებს გარკვეულ ქულებს, რომელთა რაოდენობაც მისი არჩეული ფეხბურთელების მარიფათზეა დამოკიდებული: მაგალითად, გოლის გატანა, კარში დარტყმები, წითელ-ყვითელი ბარათები, მეკარის მიერ გოლის გაშვება, ან პირიქით, კარის მშრალად შენახვა... შესაძლოა, ფურცელზე ბევრმა გულშემატკივარმა თამაშის პრინციპი ვერ გაიგოს, მაგრამ WWW.PFL.GE-ში წარმოდგენილია ლინკი, სადაც ყველაფერი მარტივადაა ახსნილი. იმასაც დავამატებთ, რომ ნებისმიერი ტურის შემდეგ მოთამაშეს ტრანსფერის საშუალება ეძლევა და კიდევ, არის შეზღუდვაც: ვთქვათ, თერთმეტივე დინამოელის, ან ექვსი ვიტჯორჯიელის და ხუთი ტორპედოელის არჩევა არ შეიძლება.

ბევრმა გულშემატკივარმა იცის, რომ დაახლოებით ასეთივე თამაში აქვს WWW.UEFA.COM-ს, მას FANTASY FOOTBALL ჰქვია და 200 000-მდე ქომაგი ეტანება.

მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დასრულებამდე 4 ტური დარჩა და თითოეულ ტურში გამარჯვებული მოთამაშე საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩზე (კონკრეტულად რომელზე, ჯერ არ ვიცით) დასასწრებ ერთ ბილეთს მიიღებს. მიხვდებოდით, ინტერნეტ-თამაში 11 ნოემბერს გასამართი ტურიდან იწყება. როგორც შევიტყვეთ, ამ თამაშში მონაწილეობა ერთ უცხოელსაც მოუსურვებია.

პროფლიგასა და „კოკა-კოლას“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-იც დაუდგა გვერდში და არაერთ სხვა კომპანიონსაც ელიან. „საქართველოს ბანკი“ კი გამარჯვებული მოთამაშეებისთვის სხვადასხვა პრიზის დაწესებას აპირებს.

„ჩვენი ფეხბურთის“ გამარჯვებული მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისთანავე გამოცხადდება. საპრიზო ფონდი 5 000 ლარია — ფულადი პრემია საუკეთესო ხუთეულს ერგება, ყველაზე მეტი ქულის მომხვეჭი კი 1500 ლარით გამდიდრდება.

მოკლედ, ყველაფერი მოთამაშის ალღოზე, აზარტზე, იღბალზე და ქართული ფეხბურთის ცოდნაზეა დამოკიდებული. აირჩიეთ, ითამაშეთ და იქნებ მოიგოთ...

**ილია ნანობაშვილი**



რევაზ ლორთქიფანიძე და დიმიტრი რამიშვილი



მალხაზ ასათიანს ყურადღება და ავტოგრაფის მთხოვნელები არ აკლია

# ჩვენი ოქროები რუსულ ოქროსთან

## კვიპროსული ზღაპარი

*კარები იკეტება, შემდეგი გაჩერება...* შემდეგ გაჩერებაზე მოსკოვურმა „ლოკომოტივმა“ ვინძლო ოქროს მედლებიც მოიგოს. *მალხაზ ასათიანისა* და *მიხეილ აშვეთიას* გუნდს საუკეთესო შანსი აქვს, ჩემპიონი გახდეს. საამისოდ რკინიგზელებს ერთადერთი რამ სჭირდებათ — იაროსლავლში „შინიკი“ უნდა დაამარცხონ. არის სხვა ვარიანტიც — ცეესკამ ვერ უნდა მოიგოს, თუმც სხვაზე ჩამოკიდებას...

მოკლედ, ბოლოსწინა ტურში „ლოკომოტივმა“ 3:1 დაამარცხა „ტორპედო“ და თანაქალაქელი „დინამოს“ დახმარებით პირველ ადგილზე ასკუპდა. „ტორპედოსთან“ მატჩში შეუცვლელად ითამაშა ასათიანმა, მას კი ტრიბუნიდან ქომაგობდა ტრავმირებული აშვეთია.

რკინიგზელთა მოგებას ფასი არ ექნებოდა, თუკი ცეესკა „დინამოს“ დაამარცხებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და ამაში დინამოელი *ოთარ ხიზანეიშვილის* ფეხიც ურევია. „ხიზანამ“ არმიელთა ბოლო შტურმისას კარიდან გამოიტანა ბურთი, ისე, მანამდე, პირველ ტაიმში გოლის გატანაც შეეძლო...

*ბუნდესლიგის დამთავრებამდე დიდი დრო კია,* მაგრამ გელზენკირხენის „შალკეს“ ამჟამინდელი წარმატება მაინც არაა პატარა საქმე. *ლევან კობიაშვილის* გუნდმა „ჰამბურგთან“ თითქმის წაგებული მატჩი შემოატრიალა და ლიდერ „ვოლფსბურგს“ ქულებით გაუთანაბრდა. „კობი“, რა თქმა უნდა, ძირითადში იყო და საიმედოდაც ითამაშა.

„შალკეს“ რა უჭირს და, კრიზისშია „ფრაიბურგი“. კარგი ამბავი მხოლოდ ისაა, რომ *ლევან ცქიტიშვილი* გამოჯანმრთელდა და სრული 90 წუთიც გაატარა მოედანზე, ეგ არის, „ფრაიბურგმა“ ვერაფერი გააწყო ალმავლობის გზაზე მდგარ „ლევერკუზენთან“.

*ავსტრიაში „შტურმმა“ გაიხარა.* რა ხანია, გრაცელები დიდისგან თუ პატარისგან იჩაგრებოდნენ და აგერ, მათი დროც დადგა. „შტურმმა“ 3:1 სძლია „ტიროლს“ და ამ საქმეში *დავით მუჯირმაც* შეიტანა წვლილი — საამსეზონო მესამე გოლი გაიტანა.

*უკრაინულ ამბებშიც ჩავიხედოთ და ვასილ გიგიაძის დუბლზე ვთქვათ.* უკრაინელი ჟურნალისტების თქმით, მძლეთამძლე „შახტარს“ სწორედ ვასომ მოუღო ბოლო. გიგიაძემ მე-4 და 88-ე წუთებზე გაუტანა დონეცკელებს და „ტავრიას“ დაუვიწყარი სამი ქულა ჩაუწერა აქტივში. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის გამოცნობაც არ გაგიჭირდებათ — ჩვენებურმა ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

*ლატვიური „სკონტოსთვის“ ჩემპიონობა სინონიმივითაა.* რიგელებს ჯერ სეზონი არ ჰქონიათ, ლატვიის ჩემპიონები ვერ გამხდარიყვნენ. ასეა ახლაც, მაგრამ საამისოდ „სკონტოს“ დიდი ჯაფა დაადგა. *ლევან კორლალიძისა* და *ზურაბ მენთეშაშვილის* გუნდმა ამ უქმეებზე *ალექსანდრე რეხვიაშვილის* „ვენტსპილსი“ 3:0 გაანადგურა და კონკურენტ „მეტალურგს“ ერთხელაც შეახსენა, რომ „სკონტო“ ცოცხალია.

*განსაცვიფრებელი ამბები მოხდა კვიპროსის ჩემპიონატში.* „პაფოსი“ 57-ე და 70-ე წუთებზე გატანილი ორი პენალტით 2:0 უგებდა ქართველების „ანართოსისს“. ეს ანგარიში იყო 90-ე წუთამდე და რა უნდა მომხდარიყო მერე? დავითვალოთ: 90-ე, 91-ე და 97-ე (!) წუთებზე ანართოსისელებმა სამი გოლი გაიტანეს და თამაში 3:2 მოიგეს. აქედან გამთანაბრებელი *დავით ჩალაძემ* შეაგდო. უცნაური ისიც იყო, რომ მსაჯმა ათი ფეხბურთელი გააფრთხილა და სამი გააძევა. ამ ომში კი ოთხი ქართველი მონაწილეობდა — *თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, კლიმენტი წიტაიშვილი* და ზემოთ ნახსენები დავით ჩალაძე.

**ბაჩა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | რომა 1:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | [illegible] |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰამბურგი 2:1 | 90 | | 10 | 2 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ლევერკუზენი 1:4 | 90 | | 10 | 1 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ლევერკუზენი 1:4 | 90 | | 8 | 1 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | აინტრახტი 0:2 | 45 | შეცვალეს | 8 | 1 | 12 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | ბურგჰაუზენი 0:0 | 0 | | 4 | 0 | 7 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ლივინგსტონი 4:1 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 2 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ლივინგსტონი 4:1 | 0 | | 7 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ტიროლი 3:1 | 84 | 1 გოლი, გააფრთ., შეცვალეს | 15 | 3 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 3:1 | 90 | | 21 | 1 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 1 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | შ | რუბინი 1:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 12 |
| მამუკა ლომიძე | როსტოვი | შ | რუბინი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | ამკარი 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | ამკარი 1:2 | 0 | სათადარიგო | 18 | 1 | 14 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ალანია | შ | ამკარი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 1 | 14 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | ცსკა 0:0 | 90 | | 13 | 0 | 13 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ლოკომოტივი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | ს | მ. კუზბასი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 17 | 0 | 5 |
| კახა მყავანაძე | ანჟი | ს | მ. კუზბასი 1:0 | 90 | | 30 | 0 | 5 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | ს | სოკოლი 1:0 | 90 | | 28 | 0 | 8 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | ს | კამაზი 0:2 | 90 | | 30 | 5 | 19 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ნეფტეხიმიკი 2:0 | 90 | 1 გოლი | 15 | 1 | 4 |
| ზაზა ჯანაშია | ბალტიკა | ს | ლოკომოტივი 1:1 | 0 | | 10 | 2 | 20 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | ს | ლოკომოტივი 1:1 | 0 | | 13 | 3 | 20 |
| რომან ახალკაცი | ბალტიკა | ს | ლოკომოტივი 1:1 | 90 | | 17 | 0 | 20 |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | დინამო (ბ) 1:2 | 90 | | 3 | 0 | 6 |
| ვალერი აბრამიძე | ხიმკი | შ | დინამო (ბ) 1:2 | 90 | | 9 | 0 | 6 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ანჟი 0:1 | 90 | | 18 | 4 | 17 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ვორსკლა 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 8 | 0 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ვორსკლა 2:0 | 64 | შეცვალეს | 12 | 3 | 3 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | შ | არსენალი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| გია ქანტურია | ტავრია | შ | შახტარი 2:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 14 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | შახტარი 2:1 | 90 | 2 გოლი, გააფრთხილეს | 11 | 7 | 14 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ვოლინი 2:4 | 45 | შეცვალეს | 11 | 1 | 6 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 2 | 13 |
| ლაშა ჭელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 13 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | ს | ოფი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 16 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ხალკიდონა 2:0 | 90 | | 6 | 0 | 4 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ბურსა 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 4 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | კრაკოვია 0:4 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 10 | 0 | 6 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორლალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 3:0 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 3 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 3:0 | 57 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 21 | 3 | 1 |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 3:0 | 0 | | 8 | 2 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | სკონტო 0:3 | 90 | | 9 | 1 | 3 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | | ტური გამოტოვა | | | 23 | 1 | 4 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | მარეკი 2:2 | 90 | | 11 | 4 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | შ | ბეროე 1:0 | 0 | | 4 | 1 | 6 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | ბეროე 1:0 | 70 | შეცვალეს | 5 | 0 | 6 |
| ლევან კაპანაძე | ბელასიცა | შ | როდოპა 1:0 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | შ | როდოპა 1:0 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | პაფოსი 3:2 | 65 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 6 | 1 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | პაფოსი 3:2 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 2 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | პაფოსი 3:2 | 70 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 7 | 2 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | პაფოსი 3:2 | 0 | | 2 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | ს | პაფოსი 3:2 | 20 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 4 | 1 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | სალამინა 2:3 | 90 | 1 გოლი | 7 | 3 | 12 |
| გიორგი ანჩაბაძე | პარალიმნი | ს | სალამინა 2:3 | 32 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ. | 7 | 1 | 12 |
| ზვიად ლაბაძე | არისი | ს | ალკი 2:3 | 0 | | 1 | 0 | 14 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | შ | ომონია 2:0 | 89 | შეცვალეს | 3 | 0 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*





# მილანმა დაკარგა, რომამ იშოვა

## ანჩელოტიმ დელ ნერის ქულა დაუთმო

*ანდრეი შევჩენკოს ერთი გოლი საკმარისი არ გამოდგა — „სან სიროზე“ „მილანმა“ „რომას“ ვერ მოუგო და ეს მაშინ, როდესაც „იუვენტუსმა“ წინა დღეს, რეჯო კალაბრიაში მილანელთა ნანატრი რამ ჩაიდინა, წააგო*

ასე და ამგვარად, „შავწითლებმა“ ხელიდან ლიდერთან სხვაობის ორ ქულამდე შემცირების დიდებული შანსი გაუშვეს. თან, ვიმეორებთ, ეს მოხდა „რომასთან“ წინააღმდეგ. „რომა“ კი ის გუნდია, რომელიც ჩვეულებრივ მილანში ცუდად თამაშობს — ბოლოს აქ 1987 წელს გაიმარჯვა — თან ოლივიე დაკური და სიმონე პეროტა დაშავებული ჰყავს, ანტონიო კასანო და კრისტიან პანუჩი აჯანყებული, ბოლო ექვს თვეში სამი მწვრთნელი გამოცვლილი და რომლის ერთ-ერთი ფორვარდი, მარკო დელვეკიო ლუიჯი დელ ნერიმ იმ დღესაც 21-ე წუთზევე შეცვალა, რასაც, ბუნებრივია, მწვრთნელს და ფეხბურთელს შორის მწარე სიტყვების გაცვლა მოჰყვა...

„ალბათ, იმ ზეწოლამ, რომელიც „რომაზე“ პირველ ტაიმში განვახორციელეთ, ჩვეგან დიდი ძალების ხარჯვა მოითხოვა, თორემ 1:0-ზე დიდი უპირატესობა უნდა გვქონოდა. მეორე ტაიმში კი სტუმრებმა კარგად ითამაშეს და დამსახურებულად გაათანაბრეს ანგარიში. ერთი სიტყვით, ამ შეხვედრაში ყველაზე გულდასაწყვეტი ვერგატანილი გოლების რაოდენობა გახლდათ.

შესვენების შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, უფრო ცუდად ვიყავით ორგანიზებულნი, სტუმრებმა გვაჯობეს, რადგან ჩვენგან ნაბოძები დიდი სივრცეები იხელთეს და შემოგვიტიეს. არადა, ვალდებულნი ვიყავით მეტი ინიციატივა გამოგვეჩინა და ტემპი გვეკონტროლებინა“ — განაცხადა „შავ-წითლების“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ, რომელსაც შემდეგ შევჩენკოს მეორე ტაიმში შეცვლის მიზეზი ჰკითხეს. მან მიუგო:

„შევჩენკოს კუნთი წამოსტკივდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. მოკლედ, ის ტაქტიკური მოსაზრებით არ შემიცვლია. გარდა ამისა, ვფიქრობ, ერნან კრესპოს (რომელიც უკრაინელი თავდამსხელის მაგივრად შევიდა მოედანზე) თავისი ოსტატობის გამოსამჟღავნებლად დრო წინ აქვს. ამას კი იმიტომ ვამბობ, რომ ქომაგებმა უსტვინეს, სტვენა კი მასზე მხოლოდ კარგად თუ იმოქმედებს“.

„რომას“ კი ზემოთ აღწერილი მდგომარეობის გამოსასწორებლად ნამდვილად სჭირდება ასეთი შედეგი... და, დრო, როგორც ლუიჯი დელ ნერი აღნიშნავს:

„მიმდინარე სეზონი გარდამავალ პერიოდად უნდა ჩავთვალოთ. ერთი სიტყვით, დრო გვჭირდება. „მილანთან“ შეხვედრაში თავიდან ისევ ის, წინა მატჩის შემადგენლობა ავირჩიე, მაგრამ მალევე დავინახე, რომ მარჯვენა ფრთაზე კაფუ აქტიურობდა ძალიან და ამ მხარეს ბალანსი გვერღვეოდა. ეს დელვეკიოს ბრალი აშკარად არ იყო, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მისი შეცვლა მომიხდა. დელვეკიო მომავალში, ბუნებრივია, ჩვეულებრივად ითამაშებს.

ამ შეხვედრაში ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ ჩვენ მასპინძლებს ზეწოლა მთელ მოედანზე მოვუწყეთ და არა მხოლოდ ჩვენს ნახევარზე. ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურები არიან ფრანჩესკო ტოტი და ვინჩენცო მონტელა, რომლებმაც ახალგაზრდებს საკუთარი თავის რწმენა უნდა შემატონ და მაგალითი მისცენ“.

მილანელებმა ანგარიში მე-6 წუთზევე გახსნეს: თავისი მარჯვენა ფლანგიდან დელ ნერის ნაქებმა კაფუმ



ვინჩენცო მონტელამ „რომას“ ქულა მოუტანა

გაინავარდა და სტუმრების საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც შევჩენკომ ისარგებლა იმით, რომ ახლომახლოს მეურვე არ ჰყავდა და ოსტატური თავურით ბურთი კარში შეაგდო.

ძალიან ოსტატურად გაათანაბრა მონტელამაც — მანსინიმ ჯენარო გატუზო ჩამოიტოვა და ბურთი მონტელას გადააწოდა, ხოლო ფორვარდმა ჯერ მსუბუქი, ტექნიკური დარტყმით ბურთი ძელს მიარტყა, ასხლეტილი კი კარში უბრალოდ შეაგორა.

**პაპუნა ძედია**

# ფერგი ტიტულს ვერ ხედავს

## ნაჯახიც რომ ერტყათ, პოლი ვერ დაინახავდა

*სერ ალექს ფერგიუსონმა უცქირა თავისი გუნდის მორიგ ფრეს, დათვალა გაცუდებული მომენტები, ქულებიც, რომლებიც ლიდერთან მისვლამდე სჭირდება და თქვა, წლეულს არ ვარგივართო.*






ალექს ფერგიუსონი ალან სმიტს გამოექომაგა

თანაქალაქელ „სიტისთან“ უგოლო ფრის შემდეგ „მანჩესტერის“ ჩამორჩენა „ჩელსისთან“ 11 ქულაა და ეშმაკმა მელამაც თქვა: „წლეულს ტიტულისთვის მებრძოლნი არა ვჩანვართ. ხუთიდან ერთის მოგება ჩემპიონის თამაში არ არის. კვირასაც ორი ქულა გავატანეთ ქარს. ამის გამო ხელს ვერავის დავაფარებ, მაგრამ ვერც ვუსაყვედურებ“.

ფერგიუსონმა „სიტისთან“ მატჩის მსაჯი გრემ პოლიც გააკრიტიკა, ორი პენალტი არ დაგვიდოო:

„ეს კაცი არაფრით დაგვიდებდა პენალტს. ნაჯახი უნდა ერტყათ ჩვენთვის, რომ მოეცა. „არსენალთან“ რომ მოგვცეს პენალტი, ერთი ამბავი ატყდა. ახლა რომ არ მოგვცეს, ყველა ჩუმადაა“.

„მანჩესტერმა“ ვერ გაიტანა თავისი ბოლო 7 თამაშიდან 4-ში, და ფერგი შიშობს, რომ მის ფეხბურთელებს საჩემპიონო განწყობა არა აქვთ.

„ეგებ ევროპული თამაშები და პრემიერლიგა სხვადასხვაა?— კითხულობს მენეჯერი — ამდენ მომენტს ვქმნით, გოლები კი არ არის“.

და კიდევ: „სიტისთან“ მატჩში, კარიერაში მეათედ, ორი ყვითელით გააძევეს ცხელგულა ალან სმიტი.

სქოთს ამაზეც აქვს პასუხი: „ის მთელს თამაშში ორჯერ დაჯარიმდა და ორჯერვე ყვითელი მიიღო. რა გითხრათ?“

**ირაკლი გამყრელიძე**

# იოლი მრთადმრთია



მორჩა და გათავდა: „ტოტენჰემს“ ახალი მენეჯერი ჰყავს, სიდედრის ავადმყოფობის მომიზეზებით გადამდგარი ჟაკ სანტინის ადგილს მისი ჰოლანდიელი ასისტენტი, მარტინ იოლი დაიკავებს. სხვა კანდიდატურა კლუბში არც განიხილებოდა.

სანტინი ძნელად ეგუებოდა იოლს და კლუბის დანიელ დირექტორ ფრენკ არნესენს, ეს ორნი კი ერთმანეთთან კარგად იყვნენ.

იოლი პატარა ჰოლანდიურ გუნდებს წვრთნიდა, „როდას“, რომელსაც ჰოლანდიის თასი მოაგებინა და „ვაალვაიკს“, რომელიც ჰოლანდიურ უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. ის ორჯერ იყო დასახელებული ჰოლანდიის წლის საუკეთესო მწვრთნელად, რაც მისივე სიტყვებით იმას ნიშნავს, რომ მისი ფეხბურთელები მხოლოდ სირბილითა და ბურთის ხათქუნით არ შემოიფარგლებიან.

თავის დროზე იოლს ჰოლანდიის ნაკრებშიაც უთამაშია და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონშიც“.

**ირაკლი გამყრელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოლერმა ათამდე დათვალა

## ვალენსიას პრეზიდენტმა ფეხბურთელებს შეუტია და რანიერი დაიცვა

*„ვალენსიას“ პრეზიდენტმა, ხუან ბაუტისტა სოლერმა თავის ფეხბურთელებს თავდადება დაუწუნა — მოგეხსენებათ, კვირას, პრიმერადივიზონის ბოლო ტურის მატჩში, ვალენსიელებმა ელიტაში ახალაღზევებულ „ხეტაფესთან“ 0:1 წააგეს, რითაც ყველა გააკვირვეს*



„ეს ნამდვილი „ვალენსია“ არ არის. ამ ფეხბურთელებს რომ ვუყურებ და ვხედავ, რომ თავს ვალენსიელებს უწოდებენ, მრცხვენია — განაცხადა პრეზიდენტმა „რადიო ნოუსთან“ ინტერვიუში — გუნდი, რომელმაც ამ დღეს გაიმარჯვა, უფრო მონდომებული იყო და ბუნებრივია, ტაშიც მას ეკუთვნოდა. გასაკვირია პირდაპირ, ელაპარაკები მოთამაშეებს და ისმენ როგორ გეუბნებიან, რომ თავდადება არ აკლიათ, შემდეგ კი უცქერ მათ თამაშს და საპირისპიროს ხედავ. ვფიქრობ, მათ დროა გაიგონ, რომ თუ „ვალენსიაში“ თამაში უნდათ, საამისოდ ყველაფერი უნდა ილონონ“.

არადა, სეზონის დასაწყისი „ვალენსიას“ თითქოს იმედისმომცემი ჰქონდა, შემდეგ კი ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. აგერ უკვე ცხრა თამაშია, ვალენსიელებს არ მოუგიათ, ხოლო თამაშის ხარისხით, ბუნებრივია, საერთო არაფერი აქვთ იმ გუნდთან, რომელმაც მაისში უეფას თასი მოიპოვა. ჩემპიონთა თასი მიმდინარე გათამაშებაში ესპანელებმა ბრემენის „ვერდერთანაც“ წააგეს 1:2 და „ინტერთანაც“ — 1:5. ესპანეთის თასის გათამაშებიდან „ვალენსია“ მეორე დივიზიონის „ლეიდამ“ გამოთიშა. ჩემპიონატში კი „ბარსელონას“ 11 ქულით ჩამორჩება.

„ვალენსიას“ პრეზიდენტმა ფეხბურთელებისგან განსხვავებით მხარი დაუჭირა გუნდის მწვრთნელს, კლაუდიო რანიერის, რომელმაც თუ გახსოვთ, გასულ ზაფხულს „ლივერპულში“ წასული რაფა ბენიტესი შეცვალა.

„ასეთ სიტუაციებში, სანამ რამეს გადაწყვეტდე, ათამდე უნდა დათვალო. მწვრთნელი აბსოლუტურად სწორად მუშაობს — ის ათამაშებს ფეხბურთელებს, რომელთაც ნებისმიერი გულშემატკივარიც ათამაშებდა. მას ვერაფერს დავაბრალებ, რადგან გოლების გატანა მას სულაც არ ევალება“ — ბრძანა სოლერმა.

ხოლო თავად რანიერიმ „ხეტაფესთან“ წაგებას „ვალენსიას“ უარესი თამაში უწოდა:

„ის, რაც ჩვენს თავს ხდება, მხოლოდ ცუდი პერიოდია და მეტი არაფერი, თუმცა გასაკვირია, რატომ გრძელდება ეს პერიოდი ამდენ ხანს? არა უშავს, მე არ დავნებდები და ვიმედოვნებ, რომ ამ უკანმოუხედავ ბრძოლაში ფეხბურთელებიც ამყვებიან, რათა შექმნილი უსიამოვნო გარემოდან რაც შეიძლება მალე გამოვიდეთ“.

**ბაბუნა ძიდია**

# მოცარტი, კოლო და დოპინგი




„**რეჯინას**“ ნახევარმცველი, მოცარტი აცხადებს, რომ დოპინგ-ტესტზე მისი ჩავარდნის მიზეზი კოლოს საწინაალმდეგო კრემი გახლდათ და მეტი არაფერი.

„ჩემს გოგონას ნაკბენის საწინალმდეგო კრემი წავუსვი და სულ ეს იყო. აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ეს კრემი დოპინგ-ტესტს კვალს დაამჩნევდა“.

საინტერესოა, რომ სერია A-ში პერიოდულად ძალიან საინტერესო განმარტებები გვხვდება, კითხვა კი ყოველთვის ერთია — საიდან აღმოჩნდა სპორტსმენის ორგანიზმში დოპინგი? პასუხის განსაკუთრებით ბევრი ვარიანტი ნანდროლონის პირველი სკანდალის დროს ამოიფრქვა. მაშინ დოპინგის წყაროობა შამპუნით დაწყებული შემწვარი ქათმით დამთავრებული ყველაფერს დაბრალდა.

მოცარტის შემთხვევაში საინტერესოა ისიც, რომ რეჯინელი ერთი კვირის განმავლობაში უკვე მეექვსეა, ვის ორგანიზმშიც კორტიზონ ბეტამეტაზონი აღმოაჩინეს.

„ძალიან აღელვებული და გულგატეხილი ვარ, რადგან ყოველთვის ხაზგასმით ვცდილობ პროფესიონალიზმით მივუდგე საქმეს და სხვათათვის მაგალითი ვიყო. ეჭვი არ მინდა შევიტანო იმაში, რომ საბოლოოდ ყველაფერი გაირკვევა და დამტკიცდება, რომ კანონსაწინაალმდეგო არაფერი ჩამიდენია“ — განაცხადა ფეხბურთელმა, რომლის გუნდმაც შაბათს „იუვენტუსთან“ 2:1 გამარჯვება მას მიუძღვნა.

მოცარტის ნაცვლად „ბებერი ქალბატონის“ წინააღმდეგ ჯაკომო ტადესკო კაპიტნობდა, რომელმაც ასე განაცხადა:

„გაორმაგებული ძალით ვიბრძო-დით, რათა მისი არყოფნა შეგვევსო. მართალიც ვიყავით. „იუვენტუსის“ დონის გუნდის დამარცხება მხოლოდ უშიშროებითაა შესაძლებელი“.

**ბაბუნა ძიდია**



# დაბრუნდეს და გავუშვებთ

## ტადეი ალბათ იანვარში წავა

„**სიენამ**“ დაუფარავად განაცხადა, რომ როდრიგო ტადეი სავარაუდოდ, „რომაში“ გადავა, ოღონდ სეზონის ბოლოს. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს „რომასთან“ დიახაც აკავშირებდნენ და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ყველანი დაჟინებით ამბობდნენ, რომ გარიგება იანვარში შედგება, „სიენას“ პრეზიდენტმა პაოლი დე ლუკამ კი სხვანაირად განსაჯა:

„სიამოვნებით გადავცემ ტადეის „რომას“, მაგრამ ასე არა. ვერაფრით შევეგუები იმ გარემოებას, რომ „რომას“ იგივე ხელფასად გაურიგდეს, რამდენსაც ჩვენ ვთავაზობთ. ჩვენი წინადადება ძალაშია, ასე რომ, თუ უნდათ ჩადგეს ძე ცთომილის როლში და დაგვიბრუნდეს, ხელი მოგვიწეროს კონტრაქტზე, ამის შემდეგ კი შეუძლია ითამაშოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ივნისამდე მოედანს ვერ მიეკარება“.

შეგახსენებთ, რომ ტადეის ამ სეზონში ერთი წამითაც არ უთამაშია. მიზეზი: კლუბს ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი უთხრა და სჯიან. „სიენას“ სულაც არ ეპიტნავება, რომ ბრაზილიელი ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება.

და მაინც, სულ არ არის გამორიცხული, რომ ტადეი იანვარში მაინც გადავიდეს „რომაში“, რადგან რომაული კლუბი დაახლოებით 2,5 მილიონ დოლარს იხდის და ორი ფეხბურთელის, სკურტოს და კორვიას მიქირავებასაც აპირებს.

**ბაბუნა ძიდია**

# ტომაზიმ სენსის თავი შეახსენა

„**რომას**“ ვეტერან ნახევარმცველს, დამიანო ტომაზის ეჭვი არ ეპარება, რომ მუხლის ოპერაციის მიუხედავად, ამ სეზონშივე მოუწევს მოედანზე დაბრუნება. საქმე კი ის გახლავთ, რომ ზაფხულში, როდესაც „რომა“ ინგლისურ „სტოკ სიტის“ შეხვდა, ტომაზიმ ტრავმა მიიღო და თან ისეთი, რომ მაშინდელი პროგნოზით ეს სეზონი თავიდან ბოლომდე უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ვეტერანის საბედნიეროდ, ის შეიძლება საქმეს გაცილებით ადრე დაუბრუნდეს.

„ვიმედოვნებ, რომ გაზაფხულზე უკვე შევძლებ რამდენიმე მატჩის თამაშს — უთხრა ტომაზიმ რომაულ გაზეთ „კორიერე დელო სპორტს“ — და ამისთვის ამთავითვე ვუხდი მადლობას ჩვენი კლუბის პრეზიდენტს ფრანკო სენსისა და თანაგუნდელებს.

იმედი არასდროს გამცრუებია, არასდროს მიფიქრია, რომ ამით ჩემი კარიერა დასრულდა — დასძინა ყოფილმა ვერონელმა — ახლა მინდა, „რომას“ ვაჩვენო, რომ ახალ კონტრაქტს ვიმსახურებ“.



დამიანო ტომაზი

**ბაბუნა ძიდია**



რობინიოს დედა ყაჩაღებმა წაართვეს

# ვაი, დედა!

## ნაცნობი ამბავი ბრაზილიიდან

ვინ არიან ბრაზილიური ფეხბურთის ახალი თაობის უცნობილესი და უნიჭიერესი მოთამაშეები? პასუხი ძალიან მარტივია: რობინიო და დიეგუ. თუმც ქვემოთ მხოლოდ ერთ მათგანზე, რობინიოზე გვექნება ლაპარაკი.

გუშინწინ საღამოს პრაია გრანდეში, საკუთარი სახლიდან რობინიოს დედა გაიტაცეს.

43 წლის მარინა დე სოუზა სტუმრებს ბარბექიუთი უმასპინძლდებოდა, როცა ორი შეიარაღებული ყაჩაღი დაადგა თავს. სტუმრები აბაზანაში ჩაკეტეს, ფეხბურთელის დედა კი გაიტაცეს. ეს ცნობა იქაური პოლიციის უფროსმა ალბერტო ტორასამ გაავრცელა. მისივე თქმით, გამცუდებლები გამოსასყიდის თაობაზე ოჯახს ჯერ არ დაკავშირებიან.

— ჩვენი უპირველესი მიზანი, გატაცებულის უსაფრთხოდ გათავისუფლებაა — ამბობენ პოლიციაში, „სანტოსმა“ კი, სადაც რობინიო თამაშობს, ფეხბურთელი სახლში გაუშვა და ერთ ხანს, ალბათ, საქმის გარკვევამდე, უიმისოდ ითამაშებს.

# ელდორადო რუსულად

## იაროსლავლში ოქროსთვის იარ!

### რუსეთი

**პრემიერლიგა. XXIX ტური**

**ალანია 1:2 ამკარი**

0:1 ლავრიკი (12), 0:2 ბულიგა (46), 1:2 ვარზიევი (90)

**ცსკა 0:0 დინამო**

**კრილია სოვეტოვი 1:0 როტორი**

1:0 სოუზა (77)

**ყუბანი 1:0 შინიკი**

1:0 პეტკოვი (23)

**ლოკომოტივი 3:1 ტორპედო**

1:0 სიჩოვი (10), 1:1 კორმილცევი (62), 2:1 ლოსკოვი (64), 3:1 ხოხლოვი (86)

**როსტოვი 1:0 რუბინი**

1:0 კანიენდა (16)

**სპარტაკი 0:2 სატურნი**

0:1 მონტენეგრო (35), 0:2 მედვედევი (48)

**ზენიტი 2:3 მოსკოვი**

0:1 ბელეცკი (22), 1:1 დენისოვი (42), 1:2 მილიოშინი (65), 1:3 ბუდუნოვი (86), 2:3 გარტიგი (90)

აი, იაღლიშიც ამას ჰქვია. ორი ტურის წინ ცსკა სამქულიანი ჰანდიკაპით წამოიჭიმა ცხრილის სათამადოში, მაგრამ არმიელებს ჯერ „კრილიამ“, გუშინ კი, ბოლოსწინა ტურში ოლეგ რომანცევის „დინამომ“ გამოსდო ცელი. ვალერი გაზაევის გუნდმა ვერაფრით ვერ გაუტანა გოლი თანაქალაქელებს და ორ ქულასთან ერთად, ალბათ, ჩემპიონობასაც ჩაილურის წყალს გაატანს. ნამატჩევს გაზაევი გაფუჭებულ მომენტებს მისტიროდა, თუმც რომანცევმა იქვე შეახსენა, საწუწუნო მარტო შენ არ გაქვს, ჩვენც ბლომად გვქონდა გასატანიო. მართლაც, ცსკა-დან ხორვატი ივიცა ოლიჩი და ბრაზილიელი ვაგნერი, დინამოელთაგან კი მაქსიმ რომაშჩენკო დაშვრნენ ამაოდ, მაგრამ მწვრთნელებმა სიმართლე ცალკე გაარჩიონ, ჩვენ კი ჩვენთვის გასახარ ამბავზე ვთქვათ...

მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივმა“ არმიელთა წაფორხილება დედის რძესავით შეირგო, „ტორპედოს“ 3:1 აგემა და ცხრილში გალიდერდა. მალხაზმა კვლავ რიგიანად ითამაშა დაცვაში, რკინიგზელებს კი მოგება გაუჭირდათ: იზმაილოვის პასით სიჩოვმა დებიუტშივე გახსნა ანგარიში, რასაც მეორე ტაიმში ტორპედოელმა კორმილცევმა თავურით უპასუხა, თუმც „ლოკოს“ კაპიტანმა ლოსკოვმა მცველებთან ჯახირში მოახერხა საგოლედ დარტყმა, ხოლო დასასრულს ხოხლოვის ჩახვეულმა გოლმა ამოასუნქთა იური სიომინის გუნდი.

რა ხდება ბოლო ტურში? „ლოკომოტივი“ უმოტივაციო „შინიკს“ სტუმრობს, რომელიც მეექვსე ადგილზეა ჩაბეტონებული და ახლა ბევრი რამ სწორედ იაროსლავლელებზეა დამოკიდებული — „შინიკი“ ცსკა-სთვის უნდა გაისარჯოს, მაგრამ.. ერთი კია, „ლოკო“ გადამწყვეტ მატჩში იზმაილოვს მოისაკლისებს, რომელმაც გუშინ ტორპედოელ სემშოვს აუტეხა დაკა-დაკა. თანაც, „შინიკი“ გამოკვეთილი „სახლის გუნდია“, წლევანდელ პრემიერლიგაში მხოლოდ ერთხელ წაუგია... და მაინც, საეჭვოა, რკინიგზელებმა ასეთი შანსი ხელიდან გაუშვან და მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია ოქროებით არ დამშვენდნენ. ცსკა კი ბოლო ტურში ასევე ცხრილის შუაში ჩაბუდებულ „მოსკოვს“ გაეჯიბრება და გულისყური იაროსლავისკენ ექნება. ბარემ აქვე გეტყვით, რომ თანაბარქულიანობის შემთხვევაში, საქართველოს ჩემპიონატის მსგავსად, რუსეთშიც „ოქროს მატჩი“ გაიმართება.

საჩემპიონო ბრძოლას ხელი დაუქნია „ზენიტმა“, რომელმაც გუშინ შინ „მოსკოვთან“ წაგება მოახერხა. პეტერბურგელებმა ბოლო მატჩები საშინლად ჩაატარეს, უეფას თასს გადააკვდნენ და ახლა მესამე ადგილიც სანატრელი გაუხდათ. მათმა მთავარმა მოცილე „კრილიამ“ „როტორს“ ბრაზილიელი სოუზას კინკილა გოლით მოუგო და ვოლგისპირელებს ოფიციალურად მიუთითა ქვედა ლიგისკენ.

„როტორისგან“ განსხვავებით, პრემიერლიგაში დარჩენისთვის კბილებით იბრძვის „ყუბანი“, მაგრამ კრასნოდარელები ვერც „შინიკის“ დამარცხებამ მოაფერიანა. „ყუბანს“ ერთი ვარიანტი აქვს: ბოლო ტურში „ამკართან“ სტუმრად მოიგოს და იმავდროულად, მოსკოვის „დინამომ“ „სპარტაკთან“ წააგოს, მაგრამ ვაი, ასეთ ვარიანტს...

სამაგიეროდ, გადარჩა „როსტოვი“, რომლის რიგებში ბოლო 22 წუთი ითამაშა მივიწყებულმა რატი ალექსიძემ, რამენსკოეს „სატურნმა“ კი ალექსანდრ სტარკოვსის „სპარტაკს“ 2:0 სძლია და ამ მატჩში არგენტინელმა მონტენეგრომ და მედვედევმა ერთმანეთის პასებით იხეირეს.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 29 | 17 | 7 | 5 | 42:19 | 58 |
| ცსკა | 29 | 16 | 9 | 4 | 49:21 | 57 |
| ზენიტი | 29 | 16 | 5 | 8 | 50:35 | 53 |
| კრილია | 29 | 16 | 5 | 8 | 48:40 | 53 |
| ტორპედო | 29 | 15 | 6 | 8 | 49:36 | 51 |
| შინიკი | 29 | 12 | 8 | 9 | 29:27 | 44 |
| სატურნი | 29 | 10 | 11 | 8 | 36:28 | 41 |
| მოსკოვი | 29 | 10 | 10 | 9 | 37:35 | 40 |
| სპარტაკი | 29 | 11 | 6 | 12 | 42:43 | 39 |
| რუბინი | 29 | 6 | 12 | 11 | 28:30 | 30 |
| ამკარი | 29 | 6 | 12 | 11 | 26:40 | 30 |
| როსტოვი | 29 | 7 | 8 | 14 | 27:38 | 29 |
| დინამო | 29 | 6 | 10 | 13 | 26:37 | 28 |
| ალანია | 29 | 7 | 7 | 15 | 27:48 | 28 |
| ყუბანი | 29 | 5 | 10 | 14 | 24:41 | 25 |
| როტორი | 29 | 4 | 10 | 15 | 26:48 | 22 |



ლოკომოტიველებმა იაროსლავლში თუ არ წაიფორხილეს, მათი სიხარული მერე ნახეთ

### არგენტინა

**აპერტურა. XIV ტური**

კილმესი — ალმაგრო 1:0; ოლდ ბოიზი — ლანუსი 0:0; ესტუდიანტესი — ოლიმპო 3:2; ინსტიტუტო — ხიმნასია 2:2; არსენალი — სან ლორენსო 1:1; არგ. ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 3:0; კოლონი — როსარიო 1:2; ბანფილდი —ველესი 0:0; რასინგი — ურაკანი 1:0; რივერ პლეიტი — ბოკა ხუნიორსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტუდიანტესი | 14 | 7 | 6 | 1 | 19:8 | 27 |
| ოლდ ბოიზი | 14 | 7 | 5 | 2 | 14:6 | 26 |
| ველესი | 14 | 8 | 2 | 4 | 16:13 | 26 |
| რივერ პლეიტი | 14 | 7 | 4 | 2 | 23:18 | 25 |
| ბანფილდი | 14 | 5 | 7 | 2 | 19:11 | 22 |
| სან ლორენსო | 14 | 6 | 4 | 4 | 19:15 | 22 |
| ლანუსი | 14 | 5 | 7 | 2 | 18:16 | 22 |
| კილმესი | 14 | 6 | 4 | 4 | 11:11 | 22 |
| ხიმნასია | 14 | 6 | 4 | 4 | 16:18 | 22 |
| ბოკა ხუნიორსი | 14 | 6 | 3 | 5 | 19:11 | 21 |
| კოლონი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:13 | 20 |
| როსარიო | 14 | 5 | 5 | 4 | 12:11 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 14 | 5 | 3 | 6 | 17:18 | 18 |
| ალმაგრო | 14 | 4 | 6 | 4 | 10:11 | 18 |
| არგ. ხუნიორსი | 14 | 4 | 3 | 7 | 10:11 | 15 |
| არსენალი | 14 | 2 | 8 | 4 | 10:13 | 14 |
| რასინგი | 14 | 4 | 2 | 8 | 11:15 | 14 |
| ინსტიტუტო | 14 | 1 | 5 | 8 | 11:25 | 8 |
| ურაკანი | 14 | 1 | 4 | 9 | 11:25 | 7 |
| ოლიმპო | 14 | 1 | 3 | 10 | 12:25 | 6 |

### უკრაინა

**უმაღლესი ლიგა. XII ტური**

დინამო — არსენალი 1:1; ტავრია — შახტარი 2:1; მეტალურგი (დ) — ვორსკლა 2:0; დნიპრო — ბორისფენი 0:0; ვოლინი — მეტალისტი 4:2; ზაკარპატია — კრივბასი 1:1; ჩერნომორეცი — მეტალურგი (ზ) 1:0; ილიჩევეცი — ობოლონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 12 | 10 | 0 | 2 | 23:6 | 30 |
| დინამო | 12 | 9 | 2 | 1 | 21:7 | 29 |
| მეტალურგი (დ) | 12 | 8 | 2 | 2 | 21:13 | 26 |
| ვოლინი | 12 | 7 | 2 | 3 | 16:12 | 23 |
| ჩერნომორეცი | 12 | 5 | 2 | 5 | 10:9 | 17 |
| მეტალისტი | 12 | 5 | 2 | 5 | 16:17 | 17 |
| ილიჩევეცი | 12 | 4 | 5 | 3 | 21:17 | 17 |
| კრივბასი | 12 | 4 | 5 | 3 | 12:11 | 17 |
| დნიპრო | 12 | 4 | 4 | 4 | 15:17 | 16 |
| არსენალი | 12 | 3 | 5 | 4 | 13:17 | 4 |
| ობოლონი | 12 | 2 | 5 | 5 | 7:10 | 11 |
| ზაკარპატია | 12 | 2 | 4 | 6 | 9:15 | 10 |
| მეტალურგი (ზ) | 12 | 1 | 7 | 4 | 8:15 | 10 |
| ტავრია | 12 | 2 | 3 | 7 | 10:16 | 9 |
| ვორსკლა | 12 | 2 | 2 | 8 | 5:15 | 8 |
| ბორისფენი | 12 | 0 | 6 | 6 | 5:15 | 6 |

### ხორვატია

**ნაციონალლიგა. XIV ტური**

ოსიეკი — დინამო 1:1; პულა — ზაგრები 1:1; ჰაიდუკი — მედიმურიე 2:0; ინტერი — კამენი 0:0; ვარტექსი — ზადარი 3:0; რიეკა — სლავენი 1:1

### შვედეთი

**გადასასვლელი პლეი ოფი**

**საპასუხო მატჩი**

**იორგრიტე 1:0 ასირისკა (1:2)**

*ახალი სეზონიდან „იორგრიტე“ ითამაშებს ალსვენსკა ლიგაში*

### ბრაზილია

**სერია A. XL ტური**

კრისიუმა — სანტოსი 1:1; კრუზეირო — ვასკუ და გამა 3:2; ინტერნასიონალი — კორინთიანსი 3:0; ფლუმინენსე — ატლ. პარანენსე 1:2; კურიტიბა — ფიგეირენსე 2:0; ვიტორია — ჟუვენტუდე 1:1; პონტე პრეტა — სან კაეტანო 0:3; სან პაულუ — ბოტაფოგო 5:2; პალმეირასი — პაისანდუ 1:0; ფლამენგო — გუარანი 1:0; პარანა — გრემიო 1:0; გოიასი — ატლ. მინეირო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლ. პარანენსე | 40 | 22 | 9 | 9 | 75:46 | 75 |
| სანტოსი | 40 | 22 | 7 | 11 | 89:54 | 73 |
| სან პაულუ | 40 | 21 | 8 | 11 | 67:38 | 71 |
| პალმეირასი | 40 | 20 | 11 | 9 | 66:40 | 71 |
| სან კაეტანო | 39 | 20 | 8 | 11 | 55:34 | 68 |
| ჟუვენტუდე | 40 | 19 | 9 | 12 | 55:55 | 66 |
| გოიასი | 40 | 19 | 8 | 13 | 74:61 | 65 |
| კორინთიანსი | 40 | 16 | 13 | 11 | 41:47 | 61 |
| პონტე პრეტა | 40 | 17 | 7 | 16 | 36:60 | 58 |
| ფლუმინენსე | 40 | 15 | 11 | 14 | 58:62 | 56 |
| ფიგეირენსე | 40 | 14 | 12 | 14 | 49:50 | 54 |
| კურიტიბა | 40 | 13 | 15 | 12 | 43:39 | 54 |
| კრუზეირო | 40 | 15 | 8 | 17 | 60:65 | 53 |
| ინტერნასიონალი | 40 | 15 | 7 | 18 | 55:53 | 52 |
| ვასკუ და გამა | 40 | 13 | 10 | 17 | 58:59 | 49 |
| პაისანდუ | 40 | 12 | 11 | 17 | 48:70 | 47 |
| კრისიუმა | 40 | 12 | 10 | 18 | 53:63 | 46 |
| ფლამენგო | 40 | 11 | 12 | 17 | 41:43 | 45 |
| ვიტორია | 40 | 12 | 8 | 20 | 63:72 | 44 |
| პარანა | 39 | 12 | 8 | 19 | 44:65 | 44 |
| ბოტაფოგო | 40 | 9 | 16 | 15 | 55:56 | 43 |
| ატლ. მინეირო | 40 | 9 | 16 | 15 | 49:62 | 43 |
| გუარანი | 40 | 8 | 15 | 17 | 35:48 | 39 |
| გრემიო | 40 | 8 | 11 | 21 | 50:67 | 35 |

### მექსიკა

**აპერტურა. XV ტური**

ტოლუკა — პუებლა 1:0; კრუზ ასული — სინალოა 3:3; გვადალახარა — მორელია 2:1; ვერაკრუსი — სანტოს ლაგუნა 3:2; ტიგრესი — ამერიკა 0:1; პაჩუკა — ხაგუარესი 3:0; უნამი — ნეკაქსა 1:3; ატლანტე — მონტერეი 7:1; ტეკოსი — ატლასი 2:3

### იაპონია

**ჯეი ლიგა. XII ტური**

ივატა — სერეზო 2:2; კობე — კაშიმა 2:1; ურავა — შინიცუ 2:1; კაშივა — ვერდი 0:2; ტოკიო — ოიტა 1:1; იოკოჰამა — იჩიჰარა 2:1; ნაგოია — ჰიროშიმა 2:1; გამბა — ნიიგატა 6:3

### უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა. XII ტური**

დებრეცენი — ფერენცვაროში 2:0; მტკ — ბეკეშჩაბა 1:1; ვიდეოტონი — კაპოშვარი 1:1; დიოშდიორი — ნირედიჰაზა 0:1; დიორ ეტო — ვაშაში 2:1; ჰონვედი — შოპრონი 2:1; პეჩი — ტატაბანია 2:1; ზალაეგერსეგი — უიპეშტი 1:0

### ნორვეგია

**თასის ფინალი**

**ლინი 1:4 ბრანი**

0:1 შატერნსი (4), 0:2 ვინტერსი (9), 1:2 მარკსტედტი (11), 1:3, 1:4 შატერნსი (13, 34)




იენს ლემანი თუ ოლივერ კანი? იურგენ კლინსმანს ჯერ ვერ გადაუწყვეტია

# კანლემანიანი

## რუმენიგემ, მაგათმა და მათეუსმა კლინსმანს სტრატეგია დაუწუნეს

*ვინ არის გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე? კანი თუ ლემანი? ამ გაჭიანურებულმა დავამ მიუნხენის „ბაიერნის“ დირექტორი კარლ-ჰაინც რუმენიგე გაახელა და იურგენ კლინსმანს დავის დასრულება სთხოვა*



კარლ-ჰაინც რუმენიგე

**რუმენიგეს აზრით,** მუდმივი დაპირისპირება მეკარეებზე ცუდად მოქმედებს. ისინი ფსიქოლოგიურად ითრგუნებიან და თამაშისას ცდებიან. ნაკრების მწვრთნელმა პირველი ნომერი რაც შეიძლება მალე უნდა დაასახელოს, რომ დაპირისპირებას ბოლო მოეღოს.

ოლივერ კანს ჩემპიონთა ლიგაში, ტურინის „იუვენტუსთან“ მატჩში ბურთი ხელიდან გაუვარდა და მისი შეცდომის წყალობით ტურინელებმა მოიგეს. ბუნდესლიგის ერთ-ერთ შეხვედრაში კი კანს იენს ლემანის ფანებმა დასცინეს და უსტვინეს.

„ეს აუცილებლად უნდა დასრულდეს — თქვა რუმენიგემ სატელევიზიო ინტერვიუში — იურგენ კლინსმანს კანისა და ლემანის შეჯიბრი სურს, მაგრამ ამასობაში შეიძლება, ორივე დავკარგოთ. ვითარება უკონტროლო ხდება და ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ გაგრძელებას ჩვენ ვერ შევეგუებით“.

იურგენ კლინსმანმა „ბილდთან“ საუბარში განაცხადა: „სტრატეგიის შეცვლას არ ვაპირებ. ძირითად შემადგენლობაში უკეთეს ფორმაში მყოფი მეკარე მოხვდება და პირველი ნომერიც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის გაირკვევა. მანამდე კი შეჯიბრი გაგრძელდება. რა თქმა უნდა, შეუცდომელი არავინაა და კანს ან ლემანს დროდადრო თამაშში ეგებ ხარვეზები ჰქონდეთ, მაგრამ მეკარეს ამა თუ იმ შეცდომის მიხედვით არ ვაფასებ“.

მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა კლინსმანის კრიტიკა „იუვენტუსთან“ შინ წაგებული მატჩის შემდეგ დაიწყო, რომელიც ლოთარ მათეუსმა აიტაცა: „იურგენ კლინსმანს სრულიად უაზრო სტრატეგია აქვს“ — თქვა მან.

ბუნდესნაკრების მწვრთნელის დაცვა ოლივერ ბირჰოფმა იკისრა: „მიუნხენის „ბაიერნი“ დიდი და გავლენიანი კლუბია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კლინსმანის საქმეში უნდა ჩაერიოს. ჩვენ უკეთ ვიცით, რა და როგორ ვაკეთოთ“.

34 წლის იენს ლემანს 20, 35-ის ოლივერ კანს კი 74 სანაკრებო მატჩი მოუგროვდა. რუდი ფიოლერის მწვრთნელობისას კაპიტანი კანი იყო, იურგენ კლინსმანმა კი სამკლავური მიხაელ ბალაკს ჩააბარა.

17 ნოემბერს ლაიპციგში გერმანია კამერუნს ამხანაგურად გაეჯიბრება. ირანთან მოგებულ ამხანაგურ შეხვედრაში კარში იენს ლემანი იდგა და, სავარაუდოდ, კამერუნთანაც ძირითად შემადგენლობაში არსენალელი ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ერნანდესი ნუმანსიას დროებითია

## ფრანსისკო ლოპესს ხუთიდან ხუთი არ აპატიეს

**ესპანური** „ნუმანსიას“ მწვრთნელი ფრანსისკო ლოპესი გუშინ უმუშევარი დარჩა. ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

„ნუმანსია“ პრიმერადივიზიონში ამ სეზონში გადავიდა. ათი ტურის შემდეგ გუნდმა მხოლოდ ერთი თამაში მოიგო და ხუთი ქულით ბოლო ადგილზეა. ნუმანსიელებმა ორი კვირის წინ სამეფო თასის მეორე ეტაპზე გააღწიეს, გასულ უქმეებზე კი სანტანდერში „რასინგთან“ 0:2 წააგეს.

ფრანსისკო ლოპესის ნაცვლად, რომელმაც გუნდი გასულ აგვისტოში ჩაიბარა, „ნუმანსიას“ დროებით სპორტული დირექტორი მასიმო ერნანდესი გაწვრთნის.

ლოპესი ამ სეზონში მეორე გათავისუფლებული პრიმერელი მწვრთნელია. აქამდე „მალიორკას“ თავკაცი ბენიტო ფლორო დაითხოვეს და იგი ექტორ რაულ კუპერმა შეცვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ფრანსისკო ლოპესი




**რუმინეთის** ნაკრების მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ სენსაციური განცხადება გააკეთა. იგი დისკვალიფიცირებულ ადრიან მუტუს ეროვნულ ნაკრებში თავის თანაშემწედ უხმობს. „ადრიანს ჩემი ასისტენტობა შევთავაზე. იგი დასჯილია, როგორც ფეხბურთელი, ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელობა არ შეუძლია. დარწმუნებული ვარ, მას ნაკრებისთვის დიდი სარგებლობის მოტანა ძალუძს და მჯერა, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სირთულეებს გადალახავს. უბრალოდ, ბიჭს დახმარება და თანადგომა სჭირდება“ — თქვა იორდანესკუმ.

**ესპანური** „რეალი“ იანვარში კიდევ რამდენიმე შენაძენის გაკეთებას აპირებს. მადრიდელები სერიოზულად ფიქრობენ ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველ ედუს შეძენაზე. აღსანიშნავია, რომ ედუს გადაბირება „სამეფო კლუბის“ გარდა კიდევ „ვალენსიას“ და „ბარსელონას“ სურთ.

**გერმანული** „შტუტგარტის“ მცველმა მარკუს ბაბელმა აღიარა, რომ „ბლექბერნში“ თამაშისას ალკოჰოლს მიეძალა და ამის გამო ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნა. „ახლა თითქმის ბოლომდე განვიკურნე. სპირტიან სასმელს ინგლისში მივეჩვიე, ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გუნდში ტონუსის ასამაღლებლად ხშირად გვიშვებდნენ რომელიმე შოტლანდიურ პაბში, იქ კი უზომოდ ვსვამდით“ — თქვა ბაბელმა.

**არგენტინული** ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი „ბოკა ხუნიორსი“ უმწვრთნელოდ დარჩა. „ბოკამ“ წლევანდელი სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და ამჟამად ჩემპიონატში მხოლოდ მე-10 ადგილზეა. თუმცა 53 წლის მიგელ ანხელ ბრინდიზის პონტიდან წასვლის მთავარი მიზეზი ბოლო მატჩი იყო, რომელიც გუნდმა თავის მოსისხლე მტერ „რივერ პლეიტთან“ წააგო 0:2. ბრინდიზიმ უკვე წარმატება უსურვა თავის შემცვლელს, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით არ სახელდება.

**ფრანგული** პსჟ-ს ქომაგებმა პარიზში ჩასულ „მარსელის“ ავტობუსს ქვები და ბოთლები დაუშინეს. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გასულ კვირას გაიმართა, რომელიც დედაქალაქელთა გამარჯვებით (2:1) დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ „მარსელის“ ფეხბურთელები არ დაზიანებულან, პსჟ-ს ქომაგთა საქციელის გამო სასჯელი ელის.

**ინგლისური** „ვესტ ბრომვიჩი“ კვლავინდებურად უმწვრთნელოდ არის. კლუბი მოლაპარაკებას გლენ ჰოდლთან აწარმოებდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა საბოლოოდ უარი განაცხადა. „როგორც ვიცი, „ვესტ ბრომვიჩის“ ახალ მწვრთნელს უახლოეს დღეებში დაასახელებენ, მაგრამ ჩემი კანდიდატურა უკვე აღარ განიხილება. მივხვდი, რომ ეს პოსტი ჩემთვის არ არის“ — განაცხადა ჰოდლმა.

**რუსეთის** ნაკრებისა და ვიგოს „სელტას“ ყოფილი ლიდერი ალექსანდრ მოსტოვოი, სავარაუდოდ, ყატარში გააგრძელებს კარიერას. ცოტა ხნის წინ ფეხბურთელმა საუდის არაბეთში თამაში იუარა და აღნიშნა, რომელიმე მშობლიურ კლუბში სიამოვნებით ვიბურთავებდიო. თუმცა მან მხოლოდ ყატარიდან მიიღო წინადადება და საკმაოდ სარფიანიც. იქაური „ალ იტიჰადი“ მოსტოვოის 2005 წლის აპრილამდე სთავაზობს კონტრაქტს და მზად არის, რუს ნახევარმცველს სანაცვლოდ 1,2 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

**ინგლისური** „არსენალის“ ჰოლანდიელი ფორვარდი დენის ბერხკამპი კარიერის დასრულებას არ აპირებს. ცოტა ხნის წინ პრესაში საპირისპირო ინფორმაცია გავრცელდა, რომელსაც ახლა თავად ფეხბურთელი გამოეხმაურა. უკვე ცნობილია, რომ ამ სეზონის ბოლოს მეთოფეები ბერხკამპს კონტრაქტის გახანგრძლივებას შესთავაზებენ, ხოლო თავად 35 წლის თავდამსხმელის თქმით, იგი კიდევ სამი წელიწადი აპირებს თამაშს.

**იტალიური** „მილანის“ ფორვარდმა ფილიპო ინძაგიმ ანტვერპენში უკვე გაიკეთა ოპერაცია, რომელმაც წარმატებით ჩაიარა. ბელგიელი ექიმი მარკ მარტენსი დარწმუნებულია, რომ „პიპო“ სრულიად გამოჯანმრთელებას შეძლებს და დაახლოებით სამ თვეში მინდორს დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ მარცხენა ფეხის ტრავმამ უკვე არაერთი პრობლემა შეუქმნა 30 წლის ფორვარდს. თუმც მარტენსის თქმით, ამ ოპერაციის შემდეგ ინძაგი საბოლოოდ მომჯობინდება.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი პირველი ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 22:45 | 313 | ბლეკპული-რექსემი | 2.0 | 3.25 | 3.1 | 1.23 | 1.21 | 1.58 |
| 22:45 | 314 | ბრისტოლი-ტრანმერი | 2.25 | 3.25 | 2.7 | 1.32 | 1.22 | 1.47 |

### გერმანია. პირველი ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 17:30 | 50 | ფრაიბურგი-არმინია | 2.3 | 3.4 | 2.7 | 1.37 | 1.24 | 1.5 |
| 17:30 | 51 | ჰანოვერი-მაინცი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 17:30 | 52 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2.7 | 3.4 | 2.3 | 1.5 | 1.24 | 1.37 |
| 17:30 | 53 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 17:30 | 54 | შალკე-ჰერტა | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:30 | 55 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 17:30 | 56 | ვოლფსბურგი-შტუტგარდი | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 19:30 | 57 | ბოხუმი-ბაიერნი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 19:30 | 58 | ჰანზა-ჰამბურგი | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |

### გერმანია რეგიონალლიგა (ჩრდ.)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 345 | დორტმუნდი(მ)-ზტ.პაული | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |

### ავსტრია ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 364 | ბრეგენცი-შტურმი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 20:00 | 365 | გრაცერი-ადმირა | 1.3 | 4.5 | 8.3 | 1.0 | 1.12 | 2.91 |
| 20:00 | 366 | ზალცბურგი-აუსტრია | 4.3 | 3.6 | 1.65 | 1.95 | 1.19 | 1.13 |
| 20:00 | 367 | ტიროლი-მატერსბურგი | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 17:30 | 368 | რაპიდი-პაშინგი | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |

### ავსტრია პირველი დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 369 | აუსტრია(ლ)-ლინცერი | 1.45 | 3.7 | 6.2 | 1.04 | 1.17 | 2.31 |
| 21:00 | 370 | ლეობენი-კაფენბერგი | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 21:00 | 371 | რიდი-ალტახი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 21:00 | 372 | უნტერჰიბენბრიუნი-გრატკორნი | 2.6 | 3.1 | 2.4 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 21:00 | 373 | ვიორგლი-კერნტენი | 3.2 | 3.2 | 2.0 | 1.6 | 1.23 | 1.23 |

### შვეიცარია სუპერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 16:30 | 379 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 16:30 | 380 | იანგ ბოიზი-აარაუ | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:00 | 381 | ციურიხი-სერვეტი | 1.9 | 3.1 | 3.9 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 18:00 | 382 | სტ.გალენი-თუნი | 2.5 | 3.1 | 2.6 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 18:15 | 383 | შაფჰაუზენი-ბაზელი | 4.6 | 3.3 | 1.7 | 1.92 | 1.24 | 1.12 |

### იტალია. სერია À

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 22:30 | 59 | ბრეშა-მილანი | 5.5 | 3.4 | 1.6 | 2.1 | 1.23 | 1.08 |
| 22:30 | 60 | კიევო-ატალანტა | 1.8 | 3.0 | 4.8 | 1.12 | 1.3 | 1.84 |
| 22:30 | 61 | ინტერი-ბოლონია | 1.4 | 4.0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| 22:30 | 62 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.4 | 4.0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| 22:30 | 63 | ლივორნო-ლაციო | 2.4 | 2.9 | 3.0 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 22:30 | 64 | პარმა-რეჯინა | 1.85 | 3.0 | 4.4 | 1.14 | 1.3 | 1.78 |
| 22:30 | 65 | რომა-უდინეზე | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 22:30 | 66 | სამპდორია-კალიარი | 1.7 | 3.1 | 5.3 | 1.09 | 1.28 | 1.95 |
| 22:30 | 67 | სიენა-ლეჩე | 2.4 | 3.1 | 2.8 | 1.35 | 1.29 | 1.47 |

### ბელგია. 1 დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 455 | გენკი-გენტი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 22:00 | 456 | ვესტერლო-მონსი | 1.75 | 3.4 | 4.4 | 1.15 | 1.25 | 1.91 |
| 22:00 | 457 | ბრიუსელი-ოსტენდე | 1.85 | 3.2 | 4.2 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 22:00 | 458 | მუსკრონი-შარლერუა | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 22:00 | 459 | ლოკერენი-ბევერენი | 1.8 | 3.4 | 4.0 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 22:00 | 460 | ლუვიე-სტ.ტრუიდენი | 1.6 | 3.7 | 5.0 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 22:30 | 461 | სტანდარტი-ანდერლეხტი | 2.9 | 3.3 | 2.2 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 22:30 | 462 | სერკლი-ლიერსი | 2.0 | 3.3 | 3.4 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 23:00 | 463 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 5.2 | 3.6 | 1.6 | 2.12 | 1.22 | 1.1 |

### ჰოლანდია პირველი დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 473 | დენ ჰააგი-როზენდალი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 21:30 | 474 | ჰერენვენი-ვიტესი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 21:30 | 475 | ბრედა-ალკმაარი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 21:30 | 476 | პსვ-ტილბურგი | 1.2 | 5.2 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.47 |
| 22:00 | 477 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| | | 14 ნოემბერი | | | | | | |
| 14:30 | 478 | აიაქსი-ფეიენოორდი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 16:30 | 479 | გრონინგენი-დენ ბოსხი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 16:30 | 480 | ვალვაიკი-გრააფსხაპი | 1.5 | 3.7 | 5.8 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 16:30 | 481 | უტრეხტი-როდა | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |

### უნგრეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 15:30 | 560 | ნირედიჰაზა-ვიდეოტონი | 2.4 | 3.0 | 2.6 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 15:30 | 561 | ტატაბანია-ზალაეგერსეგი | 2.6 | 3.0 | 2.4 | 1.39 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 562 | უიპეშტი-ჰონვედი | 1.4 | 3.7 | 6.3 | 1.01 | 1.14 | 2.33 |
| 18:00 | 563 | ვაშაში-დიოშდიორი | 1.65 | 3.2 | 4.4 | 1.08 | 1.2 | 1.85 |
| 18:00 | 564 | სოპრონი-ეტო | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 18:00 | 565 | კაპოშვარი-მტკ | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 18:00 | 566 | ფერენცვაროში-პეჩი | 1.25 | 4.7 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 2.96 |
| 18:00 | 881 | ბეკეშჩაბა-დებრეცენი | 4.0 | 3.2 | 1.7 | 1.77 | 1.19 | 1.11 |

### იაპონია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 13:00 | 586 | ოიტა-ნაგოა | 2.45 | 3.0 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 13:00 | 587 | ნიიგატა-კაშივა | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |

### ბრაზილია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 607 | სან კაეტანო-პარანა | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

### ჩილე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 620 | კოკიმბო-კოლო კოლო | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 621 | ტემუკო-კობრელოა | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |

### გერმანია თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 623 | არმინია-კარლსრუე | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 21:00 | 624 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 21:00 | 625 | ვერდერი-ტრირი | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 21:00 | 626 | ბაიერნი(მ)-ბრაუნშვაიგი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 627 | პადერბორნი-ფრაიბურგი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 628 | აალენი-პანზა | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 21:30 | 629 | აინტრახტი-შალკე | 4.3 | 3.4 | 1.7 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 22:30 | 630 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |

**შოტლანდიის თასი**

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 667 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 22:45 | 668 | ლივინგსტონი-მოზერუელი | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |

**10 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 669 | რეინჯერსი-სელტიკი | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:45 | 670 | დანფერმლაინი-ჰართსი | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |

**ესპანეთი თასი**

**10 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 672 | ლანსაროტე-მალიორკა | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1.24 | 1.16 |
| 21:00 | 673 | ხირონა-ოსასუნა | 7.7 | 4.2 | 1.35 | 2.71 | 1.14 | 1.02 |
| 21:00 | 674 | პონტევედრა-ხეტაფე | 3.0 | 3.0 | 2.2 | 1.5 | 1.26 | 1.26 |
| 21:00 | 675 | ლეონესა-ბილბაო | 7.7 | 4.2 | 1.35 | 2.71 | 1.14 | 1.02 |
| 21:00 | 676 | კორდობა-ნუმანსია | 3.7 | 3.2 | 1.9 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 21:00 | 677 | გრამენეტი-ლევანტე | 5.5 | 3.8 | 1.5 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| 21:00 | 678 | ლორკა-მალაგა | 5.5 | 3.8 | 1.5 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| 21:00 | 679 | უელვა-ალბასეტე | 2.8 | 3.0 | 2.4 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 22:30 | 680 | ელჩე-დეპორტივო | 3.7 | 3.2 | 1.9 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 22:30 | 681 | კადისი-ბეტისი | 3.1 | 3.0 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 22:30 | 682 | მირანდესი-სოსიედადი | 7.3 | 4.3 | 1.3 | 2.7 | 1.1 | 1.0 |
| 22:30 | 683 | ვალიადოლიდი-რასინგი | 2.8 | 3.0 | 2.4 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 23:00 | 684 | ტერასა-ლეიდა | 2.4 | 3.0 | 2.8 | 1.33 | 1.29 | 1.44 |
| 23:15 | 685 | სიუდადი-სევილია | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 23:45 | 686 | ტენერიფე-რეალი | 7.3 | 4.3 | 1.3 | 2.7 | 1.1 | 1.0 |

**11 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 687 | ტარაგონა-ატლეტიკო | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |

**საფრანგეთი. თასი**

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 688 | ლე ავრი-ლე მანი | 2.35 | 2.8 | 3.2 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 21:00 | 689 | მონპელიე-რეიმსი | 1.8 | 3.0 | 4.4 | 1.12 | 1.27 | 1.78 |
| 21:00 | 690 | სადანი-მონაკო | 3.5 | 3.0 | 2.0 | 1.61 | 1.27 | 1.2 |
| 23:00 | 691 | აიაჩო-კანი | 2.4 | 2.8 | 2.9 | 1.12 | 1.31 | 1.42 |
| 23:00 | 692 | ბრესტი-სოშო | 3.2 | 2.9 | 2.2 | 1.52 | 1.3 | 1.25 |
| 23:00 | 693 | კლერმონი-ტულუზი | 3.2 | 2.9 | 2.2 | 1.52 | 1.3 | 1.25 |
| 23:00 | 694 | დიჟონი-ბორდო | 3.5 | 3.0 | 2.0 | 1.61 | 1.27 | 1.2 |
| 23:00 | 695 | მეცი-ბასტია | 1.75 | 3.1 | 4.5 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 23:00 | 696 | ნიცა-ლანსი | 1.85 | 3.0 | 4.1 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 23:00 | 697 | ტრუა-სტრასბური | 2.5 | 3.2 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 698 | სტ.ეტიენი-კრეტეი | 1.4 | 4.0 | 6.0 | 1.03 | 1.13 | 2.4 |

**10 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:05 | 699 | რენი-ოსერი | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.3 | 1.47 |

**ჰოლანდიის თასი**

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 704 | დენ ჰააგი-ემენი | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:00 | 705 | ვოლენდამი-ჰერაკლესი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:00 | 706 | იგლსი-როდა | 4.7 | 3.6 | 1.55 | 2.03 | 1.16 | 1.08 |
| 22:00 | 707 | ჰელმონდი-ოსი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 22:00 | 708 | ტელსტარი-დორდრეხტი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |

**10 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 709 | ვეენდამი-ტილბურგი | 4.5 | 3.3 | 1.7 | 1.9 | 1.23 | 1.12 |
| 22:00 | 710 | დენ ბოსხი-ვიტესი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 22:00 | 712 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |

**ინგლისის ლიგის თასი**

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 714 | ბარნლი-ტოტენჰემი | 3.8 | 3.4 | 1.8 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 22:45 | 715 | უოტფორდი-საუთჰემპტონი | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 22:45 | 716 | არსენალი-ევერტონი | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 22:45 | 717 | კარდიფი-პორტსმუთი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |

**10 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 718 | ნოტინგემი-ფულემი | 3.2 | 3.4 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| 22:45 | 719 | ნიუკასლი-ჩელსი | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 23:00 | 720 | ლივერპული-მიდლსბრო | 1.9 | 3.4 | 3.4 | 1.21 | 1.21 | 1.7 |
| 23:00 | 721 | მანჩესტერი-კრ. პალასი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

**ნორვეგია პლეი-ოფი**

**13 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 875 | ბოდოი გლიმტი-კონგსვინგერი | 1.4 | 4.5 | 5.5 | 1.06 | 1.11 | 2.47 |

**სამხ. ამერიკის თასი**

**10 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 876 | სერო-ბოკა ხუნიორსი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 877 | სანტოსი-უნივერსიტარია | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 23:45 | 878 | ხუნიორი-ინტერნაციონალი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10059 | ბრეშა-მილანი | 5.2 | 2.2 | 2.1 | 1.54 | 1.49 | 1.07 |
| 10060 | კიევო-ატალანტა | 2.4 | 2.0 | 4.8 | 1.09 | 1.6 | 1.41 |
| 10061 | ინტერი-ბოლონია | 1.65 | 2.35 | 8.0 | 1.0 | 1.36 | 1.81 |
| 10062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.65 | 2.35 | 8.0 | 1.0 | 1.36 | 1.81 |
| 10063 | ლივორნო-ლაციო | 2.8 | 2.0 | 3.5 | 1.16 | 1.55 | 1.27 |
| 10064 | პარმა-რეჯინა | 2.4 | 2.1 | 4.3 | 1.12 | 1.54 | 1.41 |
| 10065 | რომა-უდინეზე | 2.1 | 2.2 | 5.2 | 1.07 | 1.49 | 1.54 |
| 10066 | სამპდორია-კალიარი | 2.2 | 2.05 | 5.4 | 1.06 | 1.56 | 1.48 |
| 10067 | სიენა-ლეჩე | 2.85 | 2.2 | 3.1 | 1.24 | 1.48 | 1.28 |
| 10068 | მესინა-პალერმო | 3.0 | 2.0 | 3.3 | 1.2 | 1.57 | 1.24 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14059 | ბრეშა-მილანი | 2.4 | 1.6 |
| 14060 | კიევო-ატალანტა | 1.7 | 2.2 |
| 14061 | ინტერი-ბოლონია | 1.3 | 3.0 |
| 14062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 1.8 |
| 14063 | ლივორნო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 14064 | პარმა-რეჯინა | 1.7 | 2.2 |
| 14065 | რომა-უდინეზე | 1.65 | 2.3 |
| 14066 | სამპდორია-კალიარი | 1.65 | 2.3 |
| 14067 | სიენა-ლეჩე | 1.9 | 1.9 |
| 14068 | მესინა-პალერმო | 1.9 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11059 | ბრეშა-მილანი | 10.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 | 3.5 | 25.0 | 12.0 | 2.2 |
| 11060 | კიევო-ატალანტა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11061 | ინტერი-ბოლონია | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11063 | ლივორნო-ლაციო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11064 | პარმა-რეჯინა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11065 | რომა-უდინეზე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11066 | სამპდორია-კალიარი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11067 | სიენა-ლეჩე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11068 | მესინა-პალერმო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15059 | ბრეშა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15060 | კიევო-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15061 | ინტერი-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15063 | ლივორნო-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15064 | პარმა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15065 | რომა-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15066 | სამპდორია-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15067 | სიენა-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15068 | მესინა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13059 | ბრეშა-მილანი | 1.75 | 1.85 |
| 13060 | კიევო-ატალანტა | 1.65 | 1.95 |
| 13061 | ინტერი-ბოლონია | 1.95 | 1.65 |
| 13062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.9 | 1.7 |
| 13063 | ლივორნო-ლაციო | 1.95 | 1.65 |
| 13064 | პარმა-რეჯინა | 1.65 | 1.95 |
| 13065 | რომა-უდინეზე | 2.0 | 1.6 |
| 13066 | სამპდორია-კალიარი | 1.65 | 1.95 |
| 13067 | სიენა-ლეჩე | 1.6 | 2.0 |
| 13068 | მესინა-პალერმო | 1.65 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12059 | ბრეშა-მილანი | 1.75 | 1.85 |
| 12060 | კიევო-ატალანტა | 1.65 | 1.95 |
| 12061 | ინტერი-ბოლონია | 1.9 | 1.7 |
| 12062 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.8 | 1.8 |
| 12063 | ლივორნო-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12064 | პარმა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12065 | რომა-უდინეზე | 1.9 | 1.7 |
| 12066 | სამპდორია-კალიარი | 1.8 | 1.8 |
| 12067 | სიენა-ლეჩე | 1.95 | 1.65 |
| 12068 | მესინა-პალერმო | 1.7 | 1.9 |

მსოფლიო თასი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. თბილისი. სპორტის სასახლე. 6-7 ნოემბერი

# ბერძნულ-რომაული მსოფლიო საქართველოსია

## ბეგი დარჩია: ჩვენ ლამაზად გავიმარჯვეთ



*ოლიმპიადაზე ოდენ ერთი ვერცხლის მომპოვებელმა საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრებმა ამ უქმეებზე თავისი რეალური ძალა მსოფლიოს თბილისის სპორტის სასახლეში დაუმტკიცა. უძლიერეს ნაკრებებთან ჭიდილში მსოფლიო თასი ორდღიანი გათამაშების პირველისავე დღეს გაინაღდა და კონკურენტებს მეორე დღისთვის თეორიული შანსებიღა დაუტოვა. საბოლოო გამარჯვებაში სხვებთან ერთად ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩიაც შაბათ საღამოს დარწმუნდა, თუმც სიხარულის გამოხატვისგან მაინც თავს იკავებდა და ჩვენს მილოცვასაც ორი სიტყვით უპასუხა, ხვალ ვილაპარაკოთო. ზუსტად 24 საათში დარჩია უკვე თასით ხელში იღებდა ფოტოებს. ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა*

— **ელოდით ასე იოლ გამარჯვებას?**

— არ ვთვლი, რომ ადვილად მოვიგეთ. თითქმის ყველა წონაში დაძაბული ბრძოლები იყო. 5:2-იც არ არის ისეთი ანგარიში, დიდ უპირატესობაზე ილაპარაკო. ხომ შეიძლებოდა, ორი შეხვედრა სხვანაირად დასრულებულიყო და 3:4 წაგვეგო. ერთი კია, პროფესიული თვალით ჩვენი გამარჯვებები გაცილებით ლამაზი სანახავი იყო, ვიდრე მეტოქეების.

— **პირველ რიგში რის ხარჯზე გაიმარჯვეთ?**

— საოცარი მონდომებითა და გულშემატკივრის გვერდში დგომით. ქომაგებს ძალიან ბევრი შეუძლიათ. ჩემი აზრით, ამ ფაქტორმა ბიჭებს 20 პროცენტით მეტი გააკეთებინა. ხალიჩაზე ისეთი ანთებული თვალებით გადიოდნენ, საზღვარგარეთული ტურნირებისას წარმოუდგენელი რომაა. სწორედ ამ შემართებამ მიგვიყვანა მსოფლიო თასამდე, თორემ შარშან შედარებით ძლიერი ნაკრებით ბრინჯაოს დავჯერდით. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, „დაგვაჯერეს“.

— **შარშანდელთან შედარებით დასუსტება მეტოქე ნაკრებებისთვისაც ხომ არ შეგიტყვიათ?**

— ოლიმპიადის შემდეგ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ყველა ნაკრებში რაღაც სიახლეა. ზოგი რეორგანიზაციას იწყებს, ზოგს ვეტერანები ემშვიდობებიან. ასე რომ, შედარებით სუსტი შემადგენლობები ტურნირის პრესტიჟს არანაირად არ აკნინებს. ეს არ ნიშნავს, რომ მონაწილე ქვეყნებმა ძლიერები შეგნებულად დაასვენეს. მსგავსი პრობლემა ხომ ჩვენც გვქონდა 60 და 66 კილოგრამებში. ორი ძლიერი მოჭიდავე, ჩაჩუა და კვირკველია ვერ დავიხმარეთ.

— **თუმც მეორე დღეს წონაშეცვლილი ჩაჩუა მაინც აჭიდავეთ...**

— თვალებში რომ ჩავხედე, მივხვდი, როგორ უნდოდა ჭიდაობა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური პრობლემების გამო ბოლო თვეებში ფორმიდან ამოვარდა, მაინც ვენდე, მინდოდა, ტურნირი უფრო გაგველამაზებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო მონდომება შედეგის მისაღწევად არ ეყო.

— **შედეგს თუ არ გავითვალისწინებთ, გუნდის ჭიდაობით კმაყოფილი დარჩით?**

— ამ ეტაპზე ნორმალურად იჭიდავეს. თუ რამე დააკლდათ, პირველ რიგში გამოუცდელობისა და ნერვიულობის გამო. თუმც რამდენიმე მათგანზე აუგს ვერავინ იტყვის — პირველ რიგში რამაზ ნოზაძეზე. ირანელთან შეხვედრისას მიღებულმა ტრავმამაც ვერ შეუშალა ხელი, პირადი ჩემპიონობა მოეპოვებინა. ბრწყინვალედ გამოვიდნენ ირაკლი ჭოჭუა და მირიან გიორგაძეც.

— **ნაკრების ახალბედები — ლაშა ლომაძე და ომარ ბაკურიძე პირველ დღეს ცოტა არადამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. რისი ბრალი იყო?**

— ზემოთ გულშემატკივრების დადებითი როლი ვახსენე. ამ ბიჭების შემთხვევაში კი ეს ფაქტორი საწინააღმდეგოდ შემოგვიტრიალდა. გამოუცდელები არიან, ნაკრებში დებიუტი ჰქონდათ და ამდენი ქომაგის თვალწინ დაიბნენ. ზედმეტი აზარტულობის ბრალი იყო ნოზაძის ტრავმაც და ისიც, ხასაია პირველ შეხვედრაში ფრანგთან რომ დაიბნა. ეს მხოლოდ ეპიზოდებია, თორემ გულშემატკივრების დამსახურება იყო თუნდაც ის, რომ შვიდივე მოჭიდავე ბრძოლიდან ბრძოლამდე უმატებდა.

— **მსაჯების შეცდომებზე რას იტყვით?**

— ტრადიციულად უამრავი შეცდომები დაუშვეს. განსაკუთრებით ჩვენსა და ირანს შორის შეხვედრაში, ბაკურიძისა და ვახტანგაძის ბრძოლებში, მაგრამ, არა მგონია, ასე აშკარად შეგნებულად დაგვჩაგრეთ. სხვა დიდ ტურნირებთან შედარებით თბილისური მსოფლიო თასი საოცრად კორექტულად ჩატარდა. უკმაყოფილო არც ერთი ნაკრები არ დარჩენილა. პრეტენზია კი თუ ვინმეს უნდა გამოეთქვა, პირველ რიგში ჩვენ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— **ფილა-ს პრეზიდენტმა საქართველოში 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებაზე ჩამოაგდო სიტყვა. რამდენად რეალურია?**

— 2005 წლის კალენდარი უკვე შედგენილი და დამტკიცებულია. როგორც ბერძნულ-რომაული, ისე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობებს ბუდაპეშტი უმასპინძლებს. შემდეგი ჩემპიონატის მასპინძლობაზე კი მართლა შეიძლება ოცნება. პირველი სერიოზული გამოცდა ხომ წარმატებულად ჩავაბარეთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# შვიდგზის ალექსი არ ჩერდება: თუ გამიმართლა, ათამდეც ავალ

*განვლილ შაბათ-კვირას ჭიდაობის ქართველ გურმანებს მოსაწყენად არ ეცალათ. ან კი რომელ მოწყენაზეა ლაპარაკი, აქეთ ჩვენმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა გაგვახარეს და მსოფლიო თასი სულ ლამაზ-ლამაზი ფანდებით მოიგეს, იქით საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა გაიმართა ჩვეულ ლაზათიანად. მოკლედ, სპორტის სასახლის დარბაზში „ჭიდაობას რა უნდა“-ს დღესასწაულით დავტკბით.*

*„ბერძენ-რომაელებთან“ ერთად განვლილი უქმეების გმირი იყო ჩვენი ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი მძიმეწონოსანი ალექსი დავითაშვილი, რომელმაც მეშვიდედ (!) დაიგდო საქართველოს უძლიერესი ფალავნის სახელი და 3000 დოლარიც ალალად დაისაკუთრა. „ბებრის ყვავილობა“ კვლავაც გაგრძელდება, ასაკში მყოფი დავითაშვილი ქართულ ჭიდაობასთან და, რაც მთავარია, ძიუდოსთან განშორებას ჯერ არ აპირებს.*

## ესეც შვიდი!



— **ლექსო, ეს შენი მეშვიდე გამარჯვებაა და ალბათ განსაკუთრებულად გიხარია. ფალავნობა ხომ ასე ლამაზად, უცხოელების დასწრებით ჯერ არ ჩატარებულა...**

— არა, ფალავნობა ფალავნობაა და ულამაზოდ ვერასოდეს ჩაივლის. ქართული ჭიდაობა ჩემი სტიქიაა. ჩემთვის შვიდივე მოგება ერთნაირად ძვირფასია, ვერც ერთს გამოვარჩევ.

— **ისე ჩანდა, რომ არც ერთი მეტოქის დამარცხება არ გაგჭირვებია...**

— გაჭირვებაზე რა გითხრათ, ძლიერ მოჭიდავეებს მოვუგე და ეს იოლად არ ხდება. ისე, მთლად კარგ ფორმაში ვერ შევხვდი შეხვედრებს, ნაოპერაციები ვიყავი და ავადმყოფობამ თავისი დაღი დამასვა. თუმც ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— **წინა ექვსი გამარჯვება სამ ავტომანქანად დაგიფასდა. ამჯერად გვარიანი თანხა გერგო და ალბათ მეგობრებთან ერთად მოულხინდი...**

— აბა, როგორ... იმავე ღამეს ბლომად ღვინო დაილია და არც დღეს ვართ უქეიფოდ...

— **როგორ გავიგეთ, ძიუდოში აღარ აპირებ კარიერის გაგრძელებას...**

— არასწორად უთქვამთ. სანამ ენერგია მაქვს, დიდ სპორტს არ შევეშვები.

— **ეს ძიუდოში და, ფალავნობაში კიდევ რამდენი წელი იჭიდავებ? ათგზის ჩემპიონობას უმიზნებ?**

— რატომაც არა: თუ ჯანმრთელობამ შემიწყო ხელი, ათამდეც ავალ. ისე, თუ გამარჯვებაში დარწმუნებილ არა ვარ, ფალავნობაში არ გამოვალ. მე ასეთი ხასიათი მაქვს — თუ შევატყვე, რომ სხვები მჯობნიან, ქუდს დავიხურავ. ერთი სიტყვით, მინდა, წაუგებლად წავიდე...

**ილია ნანობაშვილი**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




REUTERS ტორონტოდან

# მე მინდა, რომ ვიყო მე!
## ვინს კარტერმა თავი და გუნდი იპოვა

— 7 ნოემბერი —

**ტორონტო 101:97 პორტლენდი**
ტორონტო: კარტერი (25), ალსტონი (16), მარშალი (16), როუზი (16)
პორტლენდი: რენდოლფი (33)
სტეფანია განაცხადში არ იყო

**სიეტლი 113:94 სან ანტონიო**
სიეტლი: ლუისი (27), ალენი (24)
სან ანტონიო: ჯინობილი (21), პარკერი (21), დანკანი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**ლეიკერსი 106:90 ატლანტა**
ლეიკერსი: ბარიანტი (24), ბატლერი (22)
ატლანტა: ჰარინგტონი (22), უოლკერი (20)

„ტორონტო რეპტორზმა" ასე თუ გაამძლა, მისი ლიდერი ვინს კარტერი სიტყვესაც აღარ დაძრავს სხვა გუნდში გადასვლაზე. „ტირანოზავრებს", აგერ, მესამე შემხვედრი შემოეჭამათ და ისეთი განწყობით შემარაგდნენ, თუ რამ მარცხი არ შემთხვათ, კიდევ არაერთს გადაყლაპავენ.

ყველაზე ბასრკბილა „ტირანოზავრმა" ვინს კარტერმა „პორტლენდს" 25 ქულა ჩაასო და დაძაბული მატჩის ბოლო წუთებზე არაერთი მნიშვნელოვანი ბურთიც გაისროლა. „გუნდიდან წასვლა მინდოდა, მაგრამ ახლა, მართალი რომ გითხრათ, აღარც ვიცი, რა ვქნა — ამბობდა კარტერი ნამატჩევს — ბოლო საგამოფენო მატჩიდან მოყოლებული ამ გუნდზე აზრი შემეცვალა, ახლა კი ვფიქრობ, ასეთი კარგები არასდროს ვყოფილვართ. ვიცი, ხალხმა ათასი რამ იფიქრა, როცა ვთქვი, აქ გაჩერება აღარ მინდა-მეთქი. მათ ერთს ვეტყვი, მინდა, ყველამ დაინახოს, რომ მე მიყვარს თამაში და მოგება."

„ტორონტო" მე-10 სეზონს იწყებს ნბა-ში და მშვენივრადაც — პირველი 3 თამაში კანადურ გუნდს არასდროს მოუგია. „პორტლენდი" ყველანაირად ეცადა, ახლა მაინც წაექცია „რეპტორზი", მაგრამ, როგორც კარტერმა თქვა, მას უყვარს თამაში და მოგება. ხოლო როცა ამ ფეხზამბარიან ჯეელს სიყვარულთან ერთად სურვილიც მოსჭარბებია, ყველაფერი იოლდება. კარტერმა ჯერ 95:95 ანგარიშზე ჩააგდო სამქულიანი და თავისიანები საბოლოოდ დააწინაურა, ხოლო როცა სტუმრებმა ორიანით მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, მან ისევ იმარჯვა შორიდან. ანგარიში 101:97 გაიზარდა, ხოლო „პორტლენდს" მატჩის გადსარჩენი დრო 4,8 წამამდე შეუმცირდა და საბოლოოდ აღარც აღარაფერი გამოუვიდა.

„პორტლენდში" კვლავ არ უთამაშია, ჩვენებურ ვოვა სტეფანიას, ვისაც ქრონიკულად მტკივანმა მუხლმა ნბა-ში თავისი მე-7 სეზონის დებიუტი გაურკვეველ თარიღამდე გადაუვადა. მაგრამ ახლა „ბლეიზერსის" თავკაცი მორის ჩიქსი ნაკლებად ფიქრობს სტეფანიაზე, რომელიც, ჰა, ჰა, გუნდის მეორე ცენტრია. მას უფრო საშური საქმე აქვს — გადარეული რაშიდ ვოლესის წასვლის შემდეგ გუნდში დისციპლინა კი დაამყარა, მაგრამ მთლად სწორდი-სმენაზე მაინც ვერა ჰყავს შეგირდები. ტორონტოში გაფრენამდე გუნდის თვითმფრინავზე დააგვიანა „ბლეიზერსის" ლიდერმა ზაკ რენდოლფმა. ის უკვე კანადაში შეუერთდა თავისიანებს და ყოვლად ბანალური რამ მოიმიზეზა— მაღვიძირას ხმა ვერ გავიგონე და ვერ გავიღვიძეო.

მორის ჩიქსი ალბათ დასჯიდა ზარმაც ვარსკვლავს, მაგრამ სჭირდებოდა და ათამაშა. რენდოლფმაც მოედანზე გამოისყიდა სიზარმაცე — 33 ქულა ჩააგდო და 15 ბურთი მოხსნა, მაგრამ აკი ზემოთაც მოგახსენეთ, იმ დღეს ვინს კარტერს გამარჯვება სურდა.

მინი-სენსაცია გამოცხვა „სიეტლში", სადაც იქაურმა „სუპერსონიქსმა" სუპერთამაში აჩვენა და 19 ქულით აჯობა აქამდე დაუმარცხებელ „სან ანტონიო სფურზს". „სიეტლის" ლიდერებმა რაშარდ ლუისმა და რეი ალენმა ჯამში 51 ქულა გააზერხეს, მაგრამ ოკეანგალმა მედიამ დღის გმირად სულ სხვა შერაცხა — 125-კილოგრამიანმა დენი ფორტსონმა მხოლოდ 15 ქულა გააზერხა, მაგრამ სამაგიეროდ 13 ბურთი მოხსნა და თან ტიმ დანაკნი გაამწარა.

„სიეტლის" ყოველთვის უჭირდა ფარქვეშ. წინა სეზონში „ზებგერითებმა" ყველაზე მეტი სამქულიანი ჩააგდეს, სამაგიეროდ, ყველაზე უსუსურები იყვნენ მოხსნებში და ამ ჯირკვით მეფარის შემატებით ჰორიზონტი გაუფართოვდათ. ფორტსონის ერთ-ერთი თანაგუნდელი ამბობს — ჩვენ ვიცით ბურთის სროლა, მაგრამ ფარქვეშ ისეთი კაცი გვჭირდებოდა, ვინც მეტოქეებს იდაყვებით დაალილავებდაო. ფორტსონის მძიმე იდაყვი მართლაც ბევრს მოხვდა სახეში თუ ნეკნებში, განსაკუთრებით კი ტიმ დანკარს, რომელმაც, ამ ბულას გადამკიდემ თამაშიდან 16-ჯერ ისროლა და აქედან სამი მეოთხედი ააცილა. ნამარცხევს დანკარი ბუზღუნებდა — მაგ ტიპს ჯერ კიდევ სტუდენტობიდან ვიცნობ და არასრდოს მომწონდაო.

დღის მესამე და საბოლოო მატჩში მიჯრით ორი მატჩის წამგებმა „ლეიკერსმა" შინ უსუსური „ატლანტა" გამოიჭირა და მოგება-წაგებების ბალანსი გაათანაბრა.

**ბოტე ყორშია**

# აზერბაიჯანელები გაზვიადდნენ
## უგრეხელიძემ ხელები დაიკაპიწა

**ზვიად ბაბიაშვილმა** არაერთხელ სცადა ევროპულ დონეზე თამაში, მაგრამ სოლიდურ უცხოურ კლუბში გადასვლა ვერაფრით მოახერხა და ამ ზაფხულს აზერბაიჯანულ „გალაში" აღმოჩნდა. თავად აზერბაიჯანულ ჩემპიონატში თამაში დიდი ვერაფერი სტიმულია ამბიციური კალათბურთელისთვის, თუმც სამაგიეროდ „გალამ" ბაბიაშვილს ევროსარბიელზე შეადგმევინა ფეხი და გასულ კვირაში ზვიადმაც უკრაინულ „ნიკოლაევთან" ბურთაობით იჯერა გული.

„გალას" ფული არ აკლია და შესაბამისად, ლეგიონერებიც ბლომად ჰყავს. აზერბაიჯანის ჩემპიონობა რა ბედენააო და „გალას" უფროსობამ ევროსარბიელზეც განიზრახა ძალების მოსინჯვა. ფიბა-ევროპის თასზე „გალამ" ბაქოში „ნიკოლაევი" მიიღო და დრამატულ ენდშპილში ქულით დამარცხდა. ბაქოელთაგან ყველაზე მეტი ჩვენებურმა ზვიად ბაბიაშვილმა ითამაშა და მოედანი 10 ქულითა და 6 მოხსნით დატოვა.

აზერბაიჯანიდან მეზობელ რუსეთში გადავინაცვლოთ, სადაც ერთმატჩიანი უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა გიორგი ცინცაძე. „სამარას" მორიგ ტურში მეტად მრისხანე სტუმარი ეწვია და დიდი ანგარიშით რომ წააგო, პაველ გოოგეს ახალგაზრდულ გუნდს ვერავინ დაადანაშაულებს. ცინცაძეს მოსკოვის „დინამოსთან" 13 წუთი მიეცა თავის გამოსაჩენად და მანაც 4 ქულა და 3-3 ჩაჭრა-პასი მოინაგრა.

შემონდ უილიამსის „უნიკსიც" „დინამოს" ხვდებოდა, ოღონდ პეტერბურგისას. ყაზანელებმა პიტერელები ათი ქულით დაჯაბნეს, უილიამსს კი 11 ქულა მოუგროვდა. ამდენივე ქულა მიითვალა საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა ისრაელშიც, ფიბა-ევროლიგის მატჩში „ელიონის" წინაალმდეგ. ყაზანელები მოულოდნელად დამარცხდნენ — „ელიონი" ვინ ოხერიაო, ეტყობა, ასეთი განწყობით ჩავიდნენ აღთქმულ მიწაზე და დაისაჯნენ კიდეც.

ფიბა-ევროლიგაში ჩვენი ნაკრების კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ითამაშა გასულ კვირაში. ვიქტორ სანიკიძის „დიჟონმა" მარცხით დაწყებული ევროტურნირის მეორე მატჩი შინ თურქულ „ბეშიქთაშს" მოუგო. ქართველი ფორვარდი 14 წუთით გაიყვანეს მოედანზე, საიდნაც 6 ქულით გამობრუნდა.

თურქული გუნდის ძლევის შემდეგ „დიჟონმა" საფრანგეთის ჩემპიონატში „შალონს" უმასპინძლა, რომელსაც განაცხადში ფრანგული ლიგის ყველაზე მაღალი მოთამაშე, 223-სანტიმეტრიანი სერგო ათუაშვილი ჰყავს. სამწუხაროდ, „ქართული დერბი" არ შედგა — ათუაშვილმა „დიჟონთან" მატჩიც სკამზე გაატარა და ჯერაც დებიუტის მოლოდინშია.

ქართველთა ბალკანური ამბებიდან კი დავით უგრეხელიძის მორიგი გამონათებაა გამოსარჩევი. სლოვენიური „პივოვარნას" ქართველმა ცენტრმა ადრიატიკის ლიგაზე 11 წუთში 9 ქულა ჩაუგდო და 6 ბურთი მოუხსნა სარაევოს „ბოსნას", ლაშკოელებმა კი დიდი ანგარიშით იმარჯვეს. უგრეხელიძე მეტად უცნაური ტიპის მოთამაშედ ყალიბდება. აქამდე [illegible] ორ მატჩში უქულოდ დატოვა მოედანი, მანამდე კი 15 წუთში 14 ქულა და 9 მოხსნა მოიხვეჭა. როგორც იტყვიან, ხასიათის მოთამაშეა.

„ოლიმპიაში" კი ძველებურადაა საქმე — ვოვა ბოისა ლიდერია, მანუჩარ მარკოიშვილს კი უჭირს. ევროლიგაში ასე იყო, ადრიატიკის ბოლო ტურში კი „მანომ" დამაჯერებლად ითამაშა „პარტიზანის" წინააღმდეგ, ხოლო ბოისა განაცხადში არ იყო.

„უცხოური" მიმოხილვა კი ყველაზე დამაიმედებელ ნოტაზე დავასრულოთ — ზაზა ფაჩულია წარმატებით მიიწევს „მილუოკი ბაქსის" ხუთეულისკენ. საგამოფენო მატჩებში გამორჩეულმა ქართველმა ცენტრმა რეგულარულ ჩემპიონატშიც დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი მოთამაშე სულაც არაა — უკვე ორი მატჩი ითამაშა და საშუალოდ 8,5 ქულა და 6 მოხსნა მოუგროვდა.

**ირაკლი პერტაია**




ზვიად ბაბიაშვილი ბედს აზერბაიჯანში ცდის

| მოთამაშე | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | ფიბა-ევროლიგა<br>სუპერლიგა(რუსეთი) | ელიონი<br>დინამო(ს.-პეტ.) | ს<br>შ | 86:99<br>86:76 | 26<br>34 | 11<br>11 | 1<br>7 | 7<br>9 | 0<br>1 |
| გიორგი ცინცაძე | სამარა | სუპერლიგა(რუსეთი) | დინამო(მოსკ.) | შ | 65:87 | 14 | 4 | 0 | 3 | 3 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი<br>ფიბა-ევროლიგა | შალონი<br>ბეშიქთაში | შ<br>შ | 93:86<br>88:76 | 11<br>14 | 2<br>6 | 3<br>1 | 0<br>2 | 0<br>0 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B. საფრანგეთი | სენტ-ეტიენი | ს | 73:97 | 9 | 2 | 3 | 0 | 0 |
| ზვიად ბაბიაშვილი | გალა | ფიბა-ევროპის თასი | ნიკოლაევი | შ | 88:89 | 36 | 10 | 6 | 2 | 1 |
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | სკავოლინი<br>პარტიზანი | ს<br>ს | 68:77<br>88:97 | 29<br>განაცხადში არ იყო | 15 | 7 | 0 | 1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | სკავოლინი<br>პარტიზანი | ს<br>ს | 68:77<br>88:97 | 3<br>14 | 0<br>8 | 0<br>2 | 0<br>2 | 0<br>0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ბოსნა | ს | 82:65 | 11 | 9 | 4 | 0 | 1 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | NBA | ორლანდო<br>კლივლენდი | ს<br>შ | 92:93<br>102:88 | 26<br>21 | 11<br>6 | 6<br>6 | 2<br>0 | 2<br>0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

# მთა და ბარი შევაჯერე

## გია თორთლაძეს პარლამენტშიც ალპები და ჰიმალაი უხმობს

მოქმედი სპორტსმენისთვის, მით უმეტეს მთამსვლელისთვის, რომელსაც სულ მწვერვალებისკენ უჭირავს თვალი და თვეობით ტყეღრეშია, სასჯელად მეჩვენება პარლამენტარობა, მთელი დღეების განმავლობაში სავარძელში ჯდომა, სესიებზე ქაღალდების ფრიალი და კამათი. ამიტომაც დავინტერესდი, თუ როგორ შეეგუა პარლამენტარობას მთამსვლელი გია თორთლაძე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი იმ სავარძელში დისკომფორტს სულაც არ განიცდის და არც მთაში სიარულს იშლის. თუ სად, რას და როგორ აპირებს გია თორთლაძე, რომელიც ჩვენს პარლამენტართაგან უიშვიათესი მოქმედი სპორტსმენია, ამის გარკვევას ინტერვიუთი შევეცადეთ



— მთამსვლელები გაზაფხულობითა და შემოდგომობით თვეობით მიდიხართ ექსპედიციებში, როცა გახურებული საპარლამენტო სესიებია. საეჭვოა, რომ მთაში ასეთი ხანგრძლივი გადახვეწა „შატალოებით“ მოახერხოთ. მაინც, როგორ აპირებთ ამ შეუთავსებელი საქმიანობების შეთავსებას?

— გაზაფხულობითა და შემოდგომობით ჰიმალაური ექსპედიციები ეწყობა, მაგრამ ხომ არის სხვა მთებიც, რომელთა მწვერვალებზეც ზაფხულობითა და ზამთრობით ადიან. მეც ასეთ მწვერვალებზე ვივლი იმ დროს, როცა საპარლამენტო არდადეგები იქნება. საამისოდ სათანადო გეგმებიც შევიმუშავე.

— თუ საიდუმლო არ არის, ამ გეგმათაგან თავდაპირველად რომლის განხორციელებას აპირებთ?

— მიზეზთა გამო რაღაც პატარ-პატარა საიდუმლობები მართლაც მაქვს და გარკვეულ დრომდე ჩემს გეგმებზე საუბარი არ მინდა. თუმცა, იმას კი გაგიმხელთ, რომ დეკემბერში ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე და სახელგანთქმულ გრანდ ჟორასზე ასვლას ვაპირებ.

— მაგრამ ეგ მწვერვალები ხომ დიდი ხნის წინათ გაიტკეპნა და თქვენისთანა დონის მთამსვლელისთვის აქტივში ვერ ჩაითვლება, თუნდაც მათზე ზამთრის ასვლები.

— ამ მწვერვალებზე კლასიკური მარშრუტებით ასვლა მართლაც პრობლემა არ არის, მაგრამ არის ძალზე რთული გზებიც, რომელთა გავლასაც ერთეულები ახერხებენ. ასეთია, მაგალითად, გრან ჟორასის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი ან მონბლანის ეგრეთწოდებული სუპერკედელი. ეს 800-900 მეტრიანი, ყინულოვანი მარშრუტებია. მონბლანის სუპერკედელი პრაქტიკულად, მთლად ვერტიკალური, 80-გრადუსიანი დახრილობისაა. მასზე ღამისთევა შეუძლებელია, ამიტომ კაცმა ერთ დღეში უნდა დაძლიოს. ასვლა ჯერ კიდევ ღამის წყვდიადში, ფარნების შუქზეა დასაწყები, რათა მეორე ღამის დადგომამდე ყველაფერი მოესწროს.

— ვისთან ერთად აპირებთ ალპებში ლაშქრობას?

— სანკტპეტერბურგელ ალექსანდრ რუჩკინთან.

— ამ გვარსახელის ერთ მთამსვლელს ვიცნობთ, ოღონდ, თუ არ ვცდებით, ყაზახეთიდანაა, ვისთანაც ტიან-შანის მთებში ბაიჩეჩეკზე და პირინეის მთებში ვინიმალზე ასევე ყინულოვანი კედლებით ახვედით.

— დიახ, ეს სწორედ ის ალექსანდრ რუჩკინია. ერთ ადგილზე ვერ ისვენებს და საცხოვრებლად ხან სად გადადის, ხან სად. ახლა სანკტ პეტერბურგში დაიდო ბინა. ძალიან ძლიერი მთამსვლელია, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ალპინისტი. დაახლოებით 45-მდე უმაღლესი, მე-6 კატეგორიის სირთულის მარშრუტები აქვს გავლილი, მათ შორის თერთმეტი სოლო ასვლა. ამ გაზაფხულზე იგი რუსეთის მთამსვლელებთან ერთად ჰიმალაის მთებში მწვერვალ ჟანუზე ჩრდილოეთის კედლიდან ავიდა, რასაც მანამდე მსოფლიოს საუკეთესო მთამსვლელები ათჯერ ამაოდ ცდილობდნენ. ეს ასვლა ახლა ყველა დროის საუკეთესო ლაშქრობად ითვლება.

— გული არ გწყდებათ, რომ პარლამენტში ჯდომის გამო თქვენ ჰიმალაის მთებში რვაათასიანებზე ველარ წახვალთ?

— ამას ზაფხულში მაინც მოვახერხებ. ნანგა პარბატზე ვაპირებ ასვლას და კიდევ ერთხელ ყარაყორუმზე აღმართულ დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ K2-ზე, იგივე ჩოგორიზე წავალ. იქნებ ახლა მაინც გამიღიმოს ბედმა. ვფიქრობ, რომ ალპინიზმში საქმიანობას ძირითადად ორი მიმართულებით, ზამთრობით ყინულოვანი კედლებითა და ზაფხულობით სასიმაღლო ასვლებით გავაგრძელებ.

— თქვენ 2001 წელს თბილისში დაფუძნებული მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ბრძანდებით. მთაში სიარულს, პარლამენტარობასა და პრეზიდენტობას ერთად როგორღა აპირებთ?

— რა პრობლემაა? ეს ხელს სულაც არ მიშლის. სხვათა შორის, ამ ზამთარს რუჩკინთან ერთად ალპებში სწორედ ამ ასოციაციის ეგიდით ვაპირებ ასვლებს.

— ამდენი საქმის გადამკიდეს ალბათ თქვენს პროფესიაზე — არქეოლოგიაზე უარის თქმა მოგიწევთ. მთამსვლელობაში და პროფესიაში მშობელთა კვალზე წასულმა იმათ ალპინისტობაში გვარიანად აჯობეთ, მაგრამ არქეოლოგიას უნდა ჩამოშორდეთ?

— თქვენ ცოტა გეშლებათ, დედა მართლაც არქეოლოგია, მამა კი არქიტექტორ-რესტავრატორი. თუმცა, მთავარი ეს კი არ არის, მთავარი ისაა, რომ არქეოლოგიაზე ზურგის შექცევას სულაც არ ვფიქრობ. მეტიც, გაისად საკანდიდატო დისერტაციის დაცვას ვაპირებ.

— დისერტაცია მთებში გათხრებს ხომ არ უკავშირდება?

— არა, ჩემი თემა საბელასურში ზედაპალეოლითური ღია სადგომის აღმოჩენას უკავშირდება. ეს ტყიბულის რაიონშია და საქართველოში ამგვარი ღია სადგომი აქამდე არც აღმოუჩენიათ. მხოლოდ მღვიმეებში იყო, სადაც სადგომის პოვნა იოლია. ერთ მშვენიერ დღეს ტყიბულის მუზეუმის თანამშრომლებმა მითხრეს, ამა და ამ ადგილზე კაჟები ყრიაო. დავინტერესდი და მათთან ერთად ის ადგილები მოვინახულე. როცა კაჟები დავათვალიერე, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო და გათხრები დავიწყე. ეს 1985 წელს იყო და გათხრებს მხოლოდ ორნი, მე და ჩემი ხელოვნებათმცოდნე მეუღლე ვაწარმოებდით. ტყეში, კარავში ვცხოვრობდით. არქეოლოგიც მე ვიყავი, მუშაც, ფოტოგრაფიც... ორი წლის მერე გათხრები დავასრულე. ეს აღმოჩენა მეტად მნიშვნელოვანია და ბევრ შეხედულებას ცვლის. ამის თაობაზე ექვსი-შვიდი სტატია გამოვაქვეყნე, თავის დროზე საკავშირო კონფერენციაზე ლექციები წავიკითხე და დღემდე დისერტაციაზე ვმუშაობ. გაისად ვიმედოვნებ, წარმატებით დავიცავ დისერტაციას და მონოგრაფიასაც გამოვცემ.

ერთი სიტყვით, მომავალი წელი ჩემთვის ბევრ რამეში საეტაპო იქნება.

— თქვენ [illegible] გვაგეთ, [illegible] პერსონალური ფოტოგამოფენის მოწყობას აპირებთ. ალბათ ისევ მთები და მთამსვლელები იქნება, როგორც ეს ბოლო წლებში თბილისში, ქუთაისში, თელავში და ბაქოში მოწყობილ პერსონალურ გამოფენებზე იყო.

— და არა მხოლოდ მთები და მთამსვლელები. მთებამდე მისასვლელად ჯერ ბარია გასავლელი, ქვეყნები, ქალაქები... მწვერვალის ძირამდე ზოგჯერ მთელი კვირები მიწევს სიარული. გზად უამრავი საინტერესო ხალხი მხვდება თავიანთი ადათ-წესებით, ზნითა და ხასიათით. მხვდება უამრავი ეგზოტიკური ნადირ-ფრინველი. ყოველივეს ფოტოფირზე ვიღებ და მინდა ეს ყველაფერი თბილისელებსა და მის სტუმრებსაც ვანახო.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თქვენი უპირველესი მოვალეობა ახლა პარლამენტში საქმიანობაა. თქვენი სახით სპორტს ალბათ პარლამენტში დიდი ქომაგი ეყოლება.

— ჩემი პროფესია და სპორტული გატაცება, უპირველეს ყოვლისა, გარე სამყაროსთან, ბუნებასთანაა დაკავშირებული. ამიტომაც პარლამენტში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში ვარ — თავმჯდომარის მოადგილეობა დამეკისრა. თუმცა, სპორტის პრობლემებზე მსჯელობისას მონაწილეობას მეც მივიღებ. სპორტს, და არა მხოლოდ ამ სფეროს, მაშინ ეშველება, როცა ეკონომიკა ფეხზე დადგება, უმუშევრობა აღმოიფხვრება, როცა საქართველო გაერთიანდება და შესაბამის კანონებსაც მივიღებთ. წარმოიდგინეთ, დღეს, როცა საქართველომ უამრავი რყევა განიცადა, როცა ეკონომიკა მოიშალა და ჩვენი იურისდიქცია მთელს ტერიტორიაზე ვერ ვრცელდება, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მაინც ვიყოჩაღეთ და ბევრ წელში გამართულ ქვეყანას ვაჯობეთ. ახლა წარმოიდგინეთ, რა იქნება მაშინ, როცა დღევანდელ პრობლემებს თავს დავაღწევთ, ამისთვის კი ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



რვაათასიანების რისხვა, ლეგენდარული რაინჰოლდ მესნერი და გია თორთლაძე



გია თორთლაძე სულ ზემოთ მიიწევს

# რუსები ბოლოს აბობოქრდნენ


REUTERS

მარატ საფინი

**BNP PARIBAS MASTERS**
პარიზი. ჭერქვეშა ხალიჩა
საპრიზო 2,425 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

**მარატ საფინი** (6, რუსეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (2, ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:2); **გილერმო კანიასი** (13, არგენტინა) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3, 6:3; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:1), 6:3; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:7 (5:7), 6:4, 7:6 (7:5)

**ნახევარფინალი**

**საფინი** — კანიასი 6:2, 7:6 (7:5); **შტეპანეკი** — მირნი 3:6, 7:6 (7:1), 6:4

**ფინალი**

**საფინი** — შტეპანეკი 6:3, 7:6 (7:5), 6:3

მარატ საფინს ბობოქარი ჩოგნაობა ზედ სეზონის დამლევს აუტყდა — ორი კვირის წინ ჯერ მადრიდულ მასტერსობაზე იმარჯვა, მერე პარიზობაზეც გაილაღა და ამ ტემპში კიდევ ორი კვირაც თუ გაძლო, ალბათ წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა ჰიუსტონობაზეც აჯობებს ყველას. თუმცა ჰიუსტონობის შესახებ წერა-კითხვას ჩვენ მერეც მოვესწრებით, მანამდე კი აი, რისი თქმაა საჭირო: რუსი გოლიათი გახდა პირველი მეჩოგნე, ვინაც ორი ჭერქვეშა მასტერსტურნირი (მადრიდსა და პარიზში) ერთ სეზონში მოიგო; საფრანგეთის სატახტოში მას 2000 და 2002 წლებშიც ემარჯვა, ასე რომ იქ მესამე ტიტულის მოხვეჭით მან ბორის ბეკერის მიღწევა გაიმეორა — ლეგენდარულ გერმანელს იქ 1986, 1989 და 1992 წლებში ეჩემპიონა); სხვაფრივ კი — საფინმა კარიერის მე-5 მასტერსტიტული და ჯამში მე-14 ჯილდო მოინაგრა. ამ ჯილდომ მას 445 ათას ევროსთან ერთად 100 საჩემპიონთარბოლო ქულაც არგო, რის შედეგადაც მან რბოლაში 572 ქულა დააგროვა და მეექვსე ადგილიდან მეოთხეზე აინაცვლა. მის წინ მხოლოდ როჯერ ფედერერი (1117), ენდი როდიკი (656) და ლეიტონ ჰიუიტილა (613) დარჩნენ. შეგახსენებთ, რომ ამ ოთხთან ერთად ჰიუსტონობაზე კარლოს მოია, გილერმო კორია, ტიმ ჰენმანი და გასტონ გაუდიო გაირჯებიან. რაც შეეხება რადეკ შტეპანეკს, მან საფინს სამი კვირის წინ თვით მოსკოვობის მეორე წრეში აჯობა, მაგრამ კარიერის პირველ საეტიპიო ფინალში კი ვერაფერი მოუხერხა.

**ADVANTA CHAMPIONSHIPS**
ფილადელფია. მაგარსაფარი
საპრიზო 585 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — ვინუს უილიამსი (5, აშშ) 7:5, 5:7, 6:1; **ნადია პეტროვა** (7, რუსეთი) — ანასტასია მისკინა (2, რუსეთი) 6:3, 4:6, 6:4; **მარია შარაპოვა** (3, რუსეთი) — ალიშა მოლიკი (8, ავსტრალია) 3:6, 6:1, 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (6, რუსეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) 6:0, 6:1

**ნახევარფინალი**

**მორესმო** — შარაპოვა — შარაპოვამ ვერ ითამაშა; **ზვონარიოვა** — პეტროვა 6:3, 7:6 (7:2)

**ფინალი**

**მორესმო** — ზვონარიოვა 3:6, 6:2, 6:2

საფინისა არ იყოს, ძალზედ მძლავრად ასრულებს სეზონს [illegible] რას ლინცში გამარჯვების მერე — და [illegible] ურ ფინალში [illegible] გო — ღონიერმა გალმა ქალმა რამე ვინმეს არც ფილადელფიაში დაუთმო და ფინალში უკვე მეორე რუსგოგოს, ვერა ზვონარიოვას მოერია. შედეგად — მას წლეულს უკვე ხუთი, ხოლო სულ 15 ტიტული დაუგროვდა და ამქრის ამჟამინდელ პირველოსან ლინდსი დევენპორტთან ერთად ერთადერთია, ამ სეზონში 60-მოგებიან თამასას რომ შესწვდა. ვერა ზვონარიოვას კი ფინალში გასვლა იმად დაუფასდა, რომ ლოს ანჯელესში ხვალ დასაწყებ, დაბლტიეის რვაქალა ჩემპიონატზე მოსახვედრი უკანასკნელი ადგილი იშოვა. იქ მის გარდა ლინდსი დევენპორტს, ამელი მორესმოს, სერენა უილიამსს და მის ოთხ თვისტომს — ანასტასია მისკინას, სვეტლანა კუზნეცოვას, ელენა დემენტიევასა და მარია შარაპოვასაც ვიხილავთ. ეს ოთხი გოგო კიდევ იმიტომაც უნდა გამოვყოთ, რომ ქალთა რეიტინგსიის საამკვირაო გამოცემაში დევენპორტისა და მორესმოს მომდევნო ოთხი ადგილი უკავიათ. ხოლო ასეთი რამ, რომ რუსებს ზეექვსეულში ერთბაშად ოთხი მღედრი ჰყოლოდეთ, აქამდე არასოდეს მომხდარიყო.

**ლევან ქელაურაძე**




REUTERS

უელსმა სამხრეთ აფრიკა თითქმის შეაჩერა

# ვაი უელსისგან ქურციკებს ნახტომი დაუმოკლდათ

6 ნოემბერი. კარდიფი
**უელსი 36:38 სამხრეთ აფრიკა**

6 ნოემბერი. ედინბურგი
**შოტლანდია 14:31 ავსტრალია**

6 ნოემბერი. რომი
**იტალია 51:6 კანადა**

შაბათს, 6 ნოემბერს იტალია — კანადამ სანოემბრო ტესტ-მატჩების სერია გახსნა, რომელშიც მთელი სარაგბო ელიტაა ჩართული. მთელი ერთი თვე სარაგბო მსოფლიო სანახაობებით იქნება განებივრებული.

რომში იტალიელებმა 51:6 სძლიეს ჩრიდილოამერიკელებს, მაგრამ უფრო საინტერესო ჯახები მოგვიანებით შედგა. სამხრეთ აფრიკა, რომელიც 3 ერის თასის მოგების შემდეგ, „დიდი სლემის ტურნირშიც" ზეობას აპირებს. უელსს მიუხდა კარდიფში და იოლ გამარჯვებასაც ელოდა, თუმც საბოლოოდ ორქულიან სხვაობას ძლივსღა გამორჩა და 38:36 იმარჯვა. იმავ საღამოს ავსტრალიამ შოტლანდიელები დაამარცხა მისსავე კედლებში 31:14, მაგრამ „ვოლაბების" მთავარმა მწვრთნელმა ედი ჯონსმა მაინც უკმყოფილება გამოთქვა.

„მატჩი შეხვედრის წინ მოედანი გავზომე და სტანდარტებზე 5 მეტრით მოკლე აღმოჩნდა. „მიურეიფილდის" სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და „სქოთებს" ასეთი შეცდომები არ ეპატიებათ. ამხელა ხალხი 16-წლამდელთა ნაკრებებისათვის მოხაზულ მოედანზე არ უნდა გვათამაშონ."

უელსელთა და სამხრეთაფრიკელთა ბურთაობა კი მართლაც საამო სანახავი გახლდათ. მატჩის დებიუტშივე „ქურციკთაგან" იაკო ფან დერ ვესტჰოიზენმა, ფან ნიკერკმა და პერსი მონტგომერიმ იყოჩაღეს და აფრიკელები პირველი 25 წუთის შემდეგ 23:6 დაწინაურდნენ, მაგრამ ბრიტანელებს უკან დახევისა და ფარ-ხმლის დაყრის სურვილი ნაღდად არ ეტყობოდათ და მალევე 23:22-მდე შეამცირეს ანგარიში.

სტუმართა თავკაცმა ჯეიკ ვაითმა მოედანზე იან დე ვილერსი შეუშვა და მანაც მონტგომერისთან ერთად კიდევ 15 ქულა მოუტანა „ქურციკებს". მატჩის დამთავრებამდე 8 წუთი იყო დარჩენილი, აფრიკელები 38:22-ს იგებდნენ და ვინ იფიქრებდა, თუ უელსი ასეთ უიმედო სიტუაციშიც არ გატყდებოდა. ბრიტანელებმა მატჩის ბოლოს მოედანზე ცეცხლი დაანთეს და 2 ლელოს გატანა მოახერხეს, ზედ 2 გარდასახვაც მოაყოლეს და ცოტა დრო კიდევ რომ ჰქონოდათ, ვინ იცის, რას მოახდენდნენ.

ჯეიკ ვაითი შეგირდებით — რა გასაკვირია და — უკმაყოფილო დარჩა და „დიდი სლემის" მოგებაზე ახლა უფრო ფრთხილად ალაპარაკდა — „წელს ისედაც გადავაჭარბეთ გულშემატკივრის მოლოდინს და ამიტომ ყოველ ახალ მატჩს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. ტურნეს მოგება კარგია, მაგრამ ჩვენ თითოეული, კონკრეტული მატჩის მოგებაზე უნდა ვიფიქროთ."

უესელთა კაპიტანი გარეთ ტომასი კი არ ჩანდა მთლად უკმაყოფილო — „წავაგეთ და საწყენია, მაგრამ რას იზამ, ხდება ხოლმე. ურიგოდ ნაღდად არ გვითამაშია და გამარჯვებისთვის ბოლომდე ვიბრძოლეთ. რაც მთავარია, საკუთარი თავის რწმენა მოგვემატა და ახლა უკვე ნამდვილად შეგვიძლია იმის თქმა, რომ სამხრეთ აფრიკის დონის ნაკრებებთან ტოლ-სწორად თამაშიც შეგვიძლია და გამარჯვებაც. მომავალი მატჩები რუმინეთთან და ახალ ზელანდიასთან გვაქვს და მაყურებლის წინაშე რეაბილიტაციას ვაპირებთ. თუ რუმინელებთან მატჩის დებიუტში ისე ვითამაშეთ, როგორც „ქურციკებთან" ბოლო 10 წუთი, მაშინ პრობლემა არ შეგვექმნება."

**ლადო ფულუკიძე**





# მიკა მერსედესში ბრუნდება

**ზაფხულიდან** დადიოდა ხმები ფორმულა 1-ის ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ მიკა ჰაკინენის ავტორბოლაში დაბრუნების შესახებ, სამი წლის წინ პენსიაში გასული უსაქმოდ ვერ ისვენებს და იქნებ ისევ ვიხილოთ ტრასებზეო.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საფორმულო ვარიანტი გამოირიცხა. სამაგიეროდ, გუშინწინ შტუტგარტში, „ვარსკვლავების და მანქანების დღეზე" ოფიციალურად გაცხადდა, რომ 36 წლის ფინელი DTM სერიის „მერსედესით" გაისად გერმანიის ჩემპიონატში გაიჯირითებს.

„მერსედეს-ბენც მოტორსპორტის" ვიცეპრეზიდენტ ნორბერტ ჰაუგის თქმით, მიკა წლეულს დაინტერესებულა ამ სერიის ჩემპიონატით და რამდენიმე რბოლასაც დასწრებია. ხოლო ერთი თვის წინ გერმანიაში, ლაუზიცის ავტოდრომზე ორდღიან ტესტებში მიიღო მონაწილეობა და ძალიანაც მოეწონა.

ჰაუგიც და ჰაკინენიც ბედნიერები არიან „მერსედესის" ოჯახში თანამშრომლობის განახლებით. სუომელმა პილოტმა ორივე ტიტული (1998, 1999) ხომ სწორედ „მერსედესის" ძრავიანი „მაკლარენით" მოიპოვა.

იმასაც გაცნობებთ, რომ მიკას თანაგუნდელი იქნება ფრანგი ექსმეფორმულე ჟან ალეზი. ჩემპიონატში გამოდის აგრეთვე კიდევ ერთი ყოფილი სამეფორბოლელი, გერმანელი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი.

პრეზენტაციის შემდეგ სახელდახელო ინტერვიუც შედგა:

— მიკა, ამ სამ წელში სართოდ უარი თქვით რბოლებზე?

— ვცდილობდი არც კი მეფიქრა, რომ რბოლები ჩემი ცხოვრებაა. ბევრი რამის გაკეთება ვცადე, მაგრამ ავტოსპორტივით არაფერმა დამაინტერესა. ამდენად, დაბრუნება იოლი იყო. DTM-კეთილშობილი რბოლებია კეთილშობილ მანქანებით, ეს ჩემი ავტოკარიერის გაგრძელების ჩინებული ვარიანტია.

— რამდენად სერიოზულად ფიქრობდით ფორმულა 1-ში დაბრუნებაზე?

— ფორმულაში ბევრის სწავლა მომიწევდა ხელახლა, DTM-ის ჩემპიონატი კი კარიერის ბუნებრივ გაგრძელებად მიმაჩნია.

— არ გეშინიათ, რომ ეს გადასვლა შეიძლება მძიმე აღმოჩნდეს, როგორც ფრენცენისთვის.

— რამდენად მძიმე იქნება არ ვიცი, ბევრია დამოკიდებული ზამთრის ვარჯიშებზე. ბევრი მუშაობა მომიწევს, სერიოზული ჩემპიონატია და არ შემიძლია ვთქვა: გამარჯობათ, მე ფორმულა 1-ის ჩემპიონი ვარ.

REUTERS ლონდონიდან



# ჩაიზე სკოლაში

ამერიკელი ბეისბოლისტები შინაური ხალხია იაპონიაში. ჩავლენ ხოლმე და იქაურ მინდვრებზე ეკეტბურთებიან ერთმანეთს. ჰიუსტონელი როჯერ კლემენსი და პიტსბურგელი ჯეკ უილსონი ტოკიოს ერთ-ერთ სკოლაში მისულან, სადაც ვანთქმული ჩაის დუღებასა და შესმის ცერემონიალ-გაკვეთილს ესწრებიან. თუ შეხედავთ, მარტო ამ ორს ეცინება ლაღად, ჩაის ცერემონიალი ძალიან სერიოზული საქმეა.

REUTERS ტოკიოდან



# რალფი მაღაზიაში

რალფ შუმახერს ასეთი რბოლებიც უყვარს. ლონდონის „ჰაროდსის“ განთქმულ მაღაზიაში მის სახელობაზე დამზადებული „ორსის“ საათითაც იწონებს თავს და თანაც თამაშობს.

# კამონი

იან ტორპი იაპონიაშია. 2005 წლის მსოფლიო გამოფენა, ექსპო, აიჩში მზადდება. ეს კეთილი პლატიპუსი, ცხადია, ავსტრალიის თილისმა იქნება ამ გამოფენაზე, სახელად კი უკვე კამონი დაერქვა, სუპერმოცურავე საგანგებოდ მისი წარდგენისთვის ჩაფრინდა ტოკიოში.

REUTERS ტოკიოდან




REUTERS ბირმინგემიდან




# ისევ ბირმინგემიდან

ბირმინგემში კვლავაც გრძელდება მოტოციკლებისა და სკუტერების დიდი გამოფენა. „კავასაკის“ მოტოზე განთქმული მრბოლი შინია ნაკანო შემომჯდარა, ლამაზმანები კი, ცხადია, იღიმიან.

## ფეხბურთი

### ინგლისი

ჩემპიონატი. XVIII ტური

ლესტერი 3:0 ქოვენთრი

### იტალია

სერია B. XII ტური

პესკარა 1:0 ემპოლი

სერია C1/A. X ტური

ლუკეზე 2:2 ნოვარა

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XII ტური

სპარტა 0:1 ბოლესლავი

ბლშანი 1:0 ოპავა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XV ტური

ანჟე 1:1 გენიონი

### პორტუგალია

სუპერლიგა. IX ტური

პორტუ 3:0 სპორტინგი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XII ტური

დუისბურგი 1:0 ალემანია

### ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

კორკ სიტი 3:2 დროჰედა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge